# „გუთნის-დედა"

## № 19—24.

---

სასოფლო სესხებითი (ანუ ვასხებითი) ამხა-
ნაგობანი.

(მათი დაწყება და დანიშნულება.)

შ ე დ გ ე ნ ი ლ ი

ვ. ფ. ლუგინინისა და ა. ვ. იაკოვლევისა.

მცირე ცვლილებით თარგმ. ანტონ ფურცელაძისაგან.

ნ 267

ქ. ტფილისს.
ე. ხელაძის სტამბა.
1874



Сельск. Хозяйства. 1873 г.

## «გუთნის დედის» რედაქციისაგან.

---

ჩვენ დავპირდით ჩვენს მკითხველებს, რომ გავაქვეყნო იმათთვის სხვა და სხვა რიგი ამხანაგობათა წყობილებანი, რომელნიც გამოდგებიან ჩვენ სასოფლო მეურნეობაში და სოფლის მოჭირნე კაცისათვის. ამის შესახებ ჩვენ გვქონდა ყოვლრიგი მასალა, რომელიც კი ბეჭდვით გამოსულა რუსულს ენაზედ. ჩვენ პირველათ ვფიქრობდით, რომ ჩვენ თავათ შეგვედგინა რამ საკუთარი, რომელიც სრულიად შეეხამებოდა ჩვენს გარემოებას; მაგრამ, როდესაც ღრმათ დავაკვირდით საქმესა და მოკლეთ გავიცანით «სასოფლო სასესხებელი (გასხებითი) ამხანაგობანი», მაშინ დავრწმუნდით, რომ ამის, თითქმის, მთლიანათ გადმოღება ჩვენს ენაზედ ჩვენი ხალხისთვის არის დაუფასებელი და ვერც უკეთესს რასმე ჩვენ დავაწყობდით, რადგან, თუნდა თეორიული ცოდნა რომ მრავალიც გვქონოდა, გამოცდილება ამ საქმეში, პრაქტიკა სრულიად არა გვქონია, როდესაც რომა ამ წიგნის შემდგენნი

უფ. ლუგინინი და იაკოვლევი არიან, როგორც დაინახავს მკითხველი, სავსენი როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ცოდნით ამ საქმეში. ჩვენ ამ წყობილებას შევადარეთ შულცე—დელიჩის და სხვა ამგვარი გამოჩენილი ამხანაგობათა მოთაოსნების დაწყობილებანი და წესდებანი სხვა და სხვა ადგილებში, მაგრამ, ჩვენის აზრით, არც ერთი იმათგანი ვერ უდრიდა ამ წიგნს თვისის ღრმა გამოკვლევით და ღრმა შესწავლით, რომლითაც უნდა დამკვიდრებულიყვნენ და სრული სასარგებლო ყოფილიყვნენ გამოუცდელი და გაჭირვებულის ხალხისთვის. გარდა ამ უპირატესობისა, რომელიც ამ წიგნს მოუძღვის სხვა ამგვარ წიგნებთან, ამას აქვს კიდევ ის უპირატესობაც, რომელიც ჩვენს გარემოებაში არის ჩვენთვის საჭირო. ეს წიგნი არის შემდგარი კომმისიისაგან, რომელიც დაწესდა სამუდამოთ 1870 წელს მოსკოვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისაგან სესხებითი ამხანაგობაების წყობილების შესადგენათ. კომმისია იყო შემდგარი, სხვათაშორის თავ. ვასილჩიკოვისა, რომელიც იყო თავმჯდომარე, და ლუგინინისა და იაკოვლევისაგან. ამ კომმისიამ შეადგინა ეს სამაგალითო «წესდება» (образцовый уставъ) და წარუდგინა ფინანსთა მინისტრს, რომელმაც თანახმობით შინაგანი საქმეების მინისტრისა, მიიღო ესა, და დაამტკიცეს ისე, რომ ვინც ამ წესდებას

მიიღებს ამხანაგობათა წყობილებაში სახელმძღვანელოთ, მმართებლობა დაამტკიცებს ამ წესდებას ორის კვირის განმავლობაში. აი სხვა ამის სიკეთეთაშორის, კიდევ რა გვახელმძღვანელებდა ამ წიგნის გადმოღებაზედ. ეს რომ წარადგინოს მართებლობასთან, ამტკიცებენ ორს კვირეზედ, როდესაც სხვა წესდებისა, ღმერთმა უწყის: დაამტკიცებენ თუ არა, თუ დაამტკიცეს, ვინ იცის როდის, და ამასთან ძვირათ თუ სხვა წესდება, დარჩა შეუცვლელი შესძულობისამებრ სამინისტრო უწყების მოხელეთა, რომელთაც სრულიად არ იციან მოსაზრება და საჭიროება ამხანაგობათა, რომელთაც შეურდგენიათ სხვა რიგი წესდება: ხშირათ მომხდარა, რომ წარდგენილი წესდების ნაფლეთებიც აღარ დარჩენილა მინისტერსტვოში; და ამხანაგობათ დაუნახავთ ამგვარათ მათი წესდების გადასხვაფერება თავის ხავნებელათ დ̃ გაძნელებიათ საქმის ასრულებაში მოყვანა. ეს წესდება არის ამას ყველაფერს განრიდებული და აქვს სრული ძალა, რომ შეუცვლელათ დამტკიცდეს და, როგორც არის ნათქვამი, მალეცა.

რაც შეეხება ამგვარი ამხანაგობაების სარგებლობას, ჩვენ ამაზედ არაფერს ვილაპარაკებთ, რადგან თვით ამ წიგნის შესავალში სცნობს ყველას მკითხველი. ჩვენ მხოლოდ ამას მოვაგონებთ მკითხველს, რომ ამ უფულობასა და საშინელს ვალებში ჩაცვივნას უნდა შველა და ამ-

ვარს წყობილებაზედ უკეთესი შველა-გაჭირვებული ხალხისათვის ჯერ არა მოგონილა რა, რომელიც კი იყვეს მმართებლობისაგან ნება რთული.

გარდა ამისა, ერთი გარემოება კიდევ უფრო ასუბუქებს ამგვარი ამხანაგობის შედგენას. ეს ისა, რომ ოცდახუთს თებერვალს 1872 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება ხელმწიფე იმპერატორისა, რომ ამგვართა ამხანაგობათა, შემდეგ ერთის წლის დაწესებისა, მიეცემათ სესხათ უბრალო თამასუქებით, უგირაოთ და უარა-რაოთ, სახელმწიფო ბანკისა თუ ბანკის განაწილებისაგან ფული. (Въ Государственномъ Банкѣ и во всѣхъ его конторахъ и отдѣленіяхъ.)

რაც შეეხება წიგნის მთლად გადმოღებას, ჩვენ ეს საჭიროთ არა ვნახეთ და ზოგი მცირე რამ გამოუშვით, ზოგი შევცვალეთ, რათგან ან ჩვენ არ შეგვეხებოდნენ, ან ჩვენთვის მეტი საბუთები იყვნენ.

# შესავალი

ხალხი თან და თან უფრო და უფრო ჰგრძნობს ფულის იაფად და სუბუქის სარგებლით შოვნის საჭიროებას და ადვილათ ხელის მონაცვლებას. ამას უნდა შესრულებაცა. ჩვენი აზრი ამ წიგნის შედგენის დროს არის ისა, რომ მოკლეთ გავაცნოთ მრავალგვარი ნაცადი და გამოსაყენები გარემოებანი შესახებ სესხებითი ამხანაგობისა იმ პირთა, რომელნიც შეუდგებიან სახალხო ბანკის საქმეებსა. ის ცნობანი, რომელთაც ჩვენ მოვიყვანთ აქა, არიან დამყარებულნი იმ გამოცდილებაზედ, რომელნიც არიან ნაცადნი სამზღვარს გარეთ ნაწარმოებთ ამხანაგობათა წყობილებასა და თვით რუსეთშიც როჟდესტვენსკის ამხანაგობის მოქმედებაზედ, რომელიც დიდის წარმატებით სწარმოებს აგერ ოთხი წელიწადია თითქმისა. (ეხლა შვიდი წელიწადია, რათგან ეს წიგნი არის დაწერილი 1870 წ.)

ჯერ, მინამ შეუდგებოდით ჩვენი დაწყობილებისა და მის გარემოების გაცნობას შესახებ სასესხებელი ამხანა-

გობისა, ვალათა ვრაცსთ ავღხსნათ მიზეზი, რომლის გამოც არა ჰსეიროობდნენ წინათ მმართებლობისაგან რუსეთის ზოგიერთ სასულმწიფო სოფლებში დაწესებული სასოფლო ბანკები. ეს უფრო იმიტომ არის საჭირო, რომ მრავალთ ჩვენი დაწყობილი საქმის წინააღმდეგთ მოჰყავთ, მაგალითათ იმ ბანკების გამოუსადეგრობა და და დაცემა. ეს წინააღმდეგნი გაიძახიან, რომ, თუ შესაძლებელი ყოფილიყო სასოფლო ბანკების წარმატება და წყობილება, რატომ არ ივარგეს წინათ, მმართებლობისაგან დაწესებულთ სასოფლო ბანკთაო. იმათ არ ივარგეს, არც ეგ ახალი წყობილება და წესი ივარგებსო. ვნახოთ სადამდის არიან ისინი მართალნი და სადამდის ჰგავს ის წყობილება ამ ახალს. მაშინდელი სასოფლო ბანკები იყვნენ მმართებლობისაგან დაწესებულნი; ფული, რომელიც იყო ამ ბანკში შეტანილი, იყო სასოფლო მოხელეთა ხელში, რომელნიც მოვალენი იყვნენ, რომ ყველა სოფელში მცხოვრებისათვის ესესხებინათ ფული. აქ ყველა მცხოვრების, ნება იყო თუ ძალა, უნდა ყოფილიყო წევრი ამ ბანკისა. ისინი მიტომ კი არა ჰსდებოდნენ მონაწილენი ამ ბანკში, რომ ჰგრძნობდნენ მის სარგებლობას, ისინი ხდებოდნენ წევრათ მიტომ, რომ ამაზედ ბრძანება ჰქონდათ მოსული, ჰმოქმედებდნენ ბრძანებისამებრ. საქმეს განაგებდა სასოფლო მოხელეთა მმარ-

თებლობა, ესე იგი სუდია-მამასახლისი, გზირნი და სხვა ამგვარები. ეს სოფლის მეუფროსე მბრძანებელნი, იყვნენ ამ საქმეშიაც სრული მბრძანებელნი. ფული ეძლეოდათ სესხათ იმათ, ვინც უფრო მახლობელნი იყვნენ ამ მოხელეთა, ან იმათ, ვინც გაუმასპინძლდებოდა იმათ ან მისცემდა ღირსეულს სასყიდელსა. ამის გარდა, ხშირათ გამამრთმევი აღარავინ იყო გაცემული ფულისა, და ანა ჰრჩებოდათ გაცემული ფული მსესხებლებთ, ან ერთმეოდათ მეტათ გვიანა და უდროვოთ; ფულის შემოტანის ახალი ვადის მიცემაც ქრთამებსა და მასპინძლობაზედ იყო დამოკიდებული. ამგვარათ, მომეტებული ნაწილი ფული ტრიალდებოდა რამდენიმე კაცის ხელში, და სხვანი რჩებოდნენ უფულოთ. ფულის წამღებნი აძლევდნენ სესხათ თავისავე ამხანაგებსა და მეზობლებს საერთო ბანკო-დამ გამოტანილს მცირე სარგებლით ფულსა და ართმევდნენ იმაში აუარებელს სარგებელს, და იმითი ატყავებდნენ სხვებსა და ჰსარგებლობდნენ მარტო ესენი. აქედამ წარმოსდგა ისა, რომ ეს ბანკი გახდა დაუსრულებელი წყარო სასოფლო მოხელეთა ლოთობისა და ფულების ქრთამით კრეფისა. მის მაგივრათ რომ ამ ბანკებს აღეპრათ და გაემართათ ხელი გაჭირვებულთათვის, ესენი გახდნენ საკუთრებათ იმ პირთა, რომელნიც უფრო შემძლენი იყვნენ სოფლებში და შეეძლოთ გასტუმრება სოფლის

მოხელეთა. ფული უცვივდებოდათ ხელში ამ შემძლე კაცთა და ესენი ამ ფულით ჰსარგებლობდნენ სავნებელათ დასაჩაგრავათ თავის ღარიბთ მეზობელთა და ამხანაგთა. სოფლის მოხელეთა ამ საქმეში არავინა ჰყავანდა მჩხრეკავი და ყურადმღებელი: სასოფლო ყრილობას არა ჰქონდა ამათზედ არავითარი ძალა, რადგან ეს ყრილობა თვით იყო ხელქვეითი ამ მოხელეთა და იყო ამათის ბრძანების ქვეშა. მაშასადამე ამათზედ გავლენა და უფლება ამას არ შეეძლო. ამ მოხელეთა არავითარი გარემოება არ აიძულებდა სინიდისიერათ ამ საქმის ხელის მოკიდების და რიგზედ წაყვანას, ისინი ამ საქმეში ჰხედავდნენ მხოლოდ თავის სარგებლობას, რადგან იყვნენ სრულს თავის ნებაზედ. ამასთან ამ საქმისთვის არის საჭირო, რომ ფული შემოდიოდეს აქ შესანახათ ან ისესხებოდეს ფული მცირე სარგებლით, რომ საკმაოდ გაჰსწვდეთ ყველას ამ ბანკში მონაწილეთა; მაგრამ, რაკი ეს ბანკები იყვნენ ამ უწესოებასა და სრულს სოფლის მოხელეთა უფლებაში, რასაკვირველია, აღარავინ ჰნდობდა ამ ბანკს ფულს, რომ იგი ამგვარი სესხით გავრცელებულიყო. ამგვარი სესხისთვის, რომ ჰქონდეთ ფულის პატრონთ ნდობა მსესხებლებისა, არის საჭირო ურთიერთა თავდებობა (круговая порука), რომელსაც ის ბანკები სრულიად მოკლებულნი იყვნენ.

აქედამ ის წარმოსდგა, რომ იმ სასოფლო ბანკებს სარგებლობის მაგივრათ, მოჰქონდათ ვნება და, სიკეთეს მაგივრათ, ჭყრყვნიდა ხალხს.

მაგრამ ერთმხრივ ესეც საკითხავია: არ შეიძლება, რომ განრიდოს ამგვარი ნაკლულევანება ამ სასოფლო ბანკებს, რომელშიაც მაინცა და მაინც ჰქონდეთ მონაწილეობა გაურჩევლათ ყველა სოფლის მცხოვრებთა, და ისე დაწესდეს?—რატომ! შეიძლება, რომ სოფლის მოხელეთა მაგივრათ ბანკის მმართველათ დაარდგინოს სხვა ამორჩეული სოფლისაგან პირნი, რომელნიც იქნებიან მთელს სოფლის ყრილობას მხედველობას ქვეშ. მაშინ ეს ბანკი იქნება იმ უწესოებისა ად უთადარიგობის განრიდებული, მაგრამ აქაც კიდევ ის არ იქნება ისეთი სრული და კარგი, როგორიც სასურველია და როგორიც უნდა იყვეს ამგვარი დაწყობილება. ყოველივე საქმე მხოლოდ მაშინ მიდის წარმატებაში და მოაქვს ნამდვილი სარგებლობა, როდესაც ამ საქმეში გარეულთ და დამწყობთ კაცთ კარგათ აქვთ მოსაზრული და გამორკვეული მის ყოველი ვითარება და სარგებლობა. თუ ამგვარი სარგებლობა არა აქვთ გამორკვეული ყველა მონაწილეთა საქმეში, მაშინ ძნელი საფიქრებელია, რომ ამოირჩიონ რიგიანი და სინიდისიერი საქმის მმართველნი. ახლა ჩავაკვირდეთ, შესაძლებელია, რომ სოფელში ყველა თანაუგრძნობდეს ამ საქმესა და ჰხედამდეს გარკვევით მის სარგებლობას?—ვგონებთ რომ ეს შე-

უძლებელია. ჯერ ეს მოვიგონოთ, რომ სოფელში ყველას არ უჭირს ფულის სესხი. მაშასადამე, ვისაც არ უჭირს, არცარა აიძულებს რა, რომ ამ საქმეს თანაუგრძნოს და მკვიდრათ შეისწავლოს მის სხვა და სხვა რიგი დაწყობილება და მართვა და იკისროს ამ საქმეში გულის წმინდით მოვალეობანი, რომელნიც არიან უეჭველი საჭირო ყოველი ამრიგი დაწყობილების მკვიდრათ წაყვანისათვის. ამისგამო შეუძლებელა, რომ შიგა და შიგ მაინც არ შევიდნენ ბანკის სამმართველო საქმეში იმგვარი კაცნი, რომელნიც აგრე რიგათ არ გასდევენ საზოგადო სარგებლობას, და თავის სარგებლობა ექნებათ ყველაზედ პირველად სახეში. ამგვარს პირებზედ ნიადაგ მხედველობა და მათი საქმეების ჩხრეკა არავითარს სარგებლობას არ მოიტანს აგრე რიგათ, რადგან, თუ ერთს ურიგოს გამოსცვლის, ეგრეთვე ადვილათ შემოვა მეორე ამრიგი ურიგო კაცი, რომელიც მაინც თავისას არ დაიშლის. ამასთან ბანკისთვს ფულის სესხება ამგვარი წესების დროს შეუძლებელია, იმ მიზეზით, რომ ურთიერთა თავდებობა აქ არ მოხერხდება, რადგან, როგორც ვსთქვით, ყველას არ უჭირს ფულის სესხი. მაშასადამე არც იკისრებს, რომ თავდებობაში გაერიოს და უთავდებოს იმ კაცს, რომელსაც ფული უჭირს და რომლისაც მაგიერობას ეს არ ჰსაჭიროებს, ამის გამო მაშინ უნდა, ვისაც არა აქვს სურვილი სესხში გარევისა, იძულებით, მა-

ლდჳტვანებით გარიონ. მაშინ ამგვარი გლეხნი, რომელთაც არ ექნებათ საჭიროება ფულის სესხისა, თავის თავს დაინახვენ დაჩაგრულათ და ნიადაგ ექნებათ წინააღმდეგობა ამგვარს საქმეზედ და ნიადაგ მისცემენ ამგვარი ბანკის წარმატებას დაბრკოლებას. ამ მიზეზების გამო ჩვენ ამგვარს ბანკებს ვპოვებთ, რომ ისინი ვერ შეასრულებენ თავის დანიშნულებას და ამათ მაგივრათ უნდა დაწესდეს შეერთებული (кооперативное) სასესხებელი ამხანაგობა. საფუძველი აზრი შეერთებული სასესხებელი ამხანაგობისა არის ისა, რომ რომელიმე რიცხვი კაცთა, რომელთაც უჭირთ მოკლე ხნობით ფული და კი არა აქვს არავითარი ნივთიერი ღონისძიება, რომლითაც პასუხი უგოს ვალში, გარდა თავის პირადის ღირსებისა, არდგენენ ამხანაგობას და ურთი ერთთა თავდებობით სესხულობენ ფულს, რომელიც არის ამათი ბანკის შესარდგენათ საჭირო. ყველა მოვალეს, რომელსაც უნდა ფულის გაცემა, ბევრათ უჯობს, რომ ამგვარს ამხანაგობას ასესხოს ფული, რათგან ამათგანი ერთი და ორი რომ მოჰკვდეს ან გახდეს სრული შეუძლებელი ვალების გასასტუმრებლათ, სხვანი დარჩებიან, რომელნიც ურთიერთა თავდებობის პირობის შეკრულობის ძალით, მოვალენი არიან იმათ მაგივრათ გასცენ პასუხი. სხვა რიგს დაწყობილებაში კი, სადაც კაცი სცემს პასუხს ვალს თავის ნივთიერი შეძლებით, მოვალე

უფრო საიჭო საქმეშია, რათგან შეიძლება ამ კაცს ქს თავის ნივთიერი შეძლება გაუქრეს ხელიდამ და ამის მაგივრათ პასუხის მგებელი აღარავინ არის.

რაკი ამგვარი ამხანაგობა უფრო სანდოა, ვიდრემ კერძო პირი და სხვაგვარი დაწყობილება, ამისგამო ეს ამხანაგობა ფულს სესხათ უფრო იაფათ შოულობს, რომელსაც აძლევს სესხათ ყველა გაჭირვებულს ამხანაგობაში მონაწილეს. ყველა ამხანაგობაში მონაწილე ამგვარათ იგებს იმითი, რომ იმას რომ მარტოს ესესხნა სხვაგან ფული, უნდა დიდი სარგებელი ეძლია და, ვინ იცის, იქნება გირაოც მოეთხოვნათ, რომელიც იმათ, იქნება, რომ არც კი აქვს. აქ ამხანაგობა აძლევს იმას ფულს უგირაოთ, მცირე სარგებლით. ამ გვარმა დაწყობილებამ, რომ ყველა ამ ამხანაგობაში ერთმანეთის თავდებნი არიან სესხსა და სესხის პასუხში, გაადვილა ფულის შოვნა ღარიბი საწყალი გაჭირვებული კაცისთვის, როდესაც აქამდის, ვიდრემ არ შემოვიდოდა ამგვარი დაწყობილება, ვერ მოეგვარებინათ, რომ ღარიბი კაცისთვის, რომელსაც ნივთიერი ღონისძიება არა ჰქონდა, გაეჩინათ ღონე ფულის სესხებისა. ამგვარმა ამხანაგობითი დაწყობილებამ გამოიჩინა საკვირველი ძალა და აჩვენა გერმანიის ხალხს დიდ ძალი სარგებლობა. იქამდის გავრცელდა გერმანიაში ამგვარი ამხანაგობანი ამ ოცის წლის განმავალობაში, რომ

ეხლა იქ ითვლება ათას ხუთასი ამხანაგობა. (*) 1866 წელში მარტო ექვსას სამოცდა ექვსმა ამხანაგობამ გამოაცხადა თავისი ანგარიშები. ამ ექვსას სამოცდა ექვს ამხანაგობაში იყო მონაწილე (წევრი) იმ დროსა ორასორმოცდა ექვსი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი კაცი. საკუთარი თავნი და სარგებელი ამათი იყო ათი მილიონი ტალერი, -ნუ მცირე რამ მეტნაკლები ათ მილიონ მანეთზედ; ესე იგი, ათჯერ ასი ათასი მანეთი. ნასესხებიც იყო ოცდათუთხმეტი მილიონი ტალერი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს მოყვანილი რიცხვი არის მხოლოდ იმ ამხანაგობათა, რომელთაც გამოაცხადეს თავიანთ ანგარიშები, და ესენი მთლად გერმანიის ამხანაგობისა ნახევარნიც არ იყვნენ. ამისგარდა ეს იმოდენა მოგება შერდგა სულ ოცის წლის განმავალობაში და მმართებლობის დაუხმარებლივ.

დაუბრუნდეთ ისევ იმ მიზეზთა ჩვენებას, რომელთგამოც ჩვენ ვამჯობინებთ შეერთებულს სასესხებელს ამხანაგობას სასოფლო ბანკების წინა შენ. ამ სასესხებელს ამხანაგობაში, რომელსაც ჩვენ უჩვენებთ, რამდენიმე გლეხ კაცი, რომელთაც უჭირთ ფული სესხათ და რომელთაც

(*) ეს იყო 1870 წ. ეხლა ბევრათ მეტი არის, რათგან ყოველწლივ მატულობენ.

ა. ივ.

კარგათ გამოურკვევიათ ღონისძიება, რომლითაც ადვილათ და იაფათ იშოვიან ვალს, უერთდებიან ერთმანეთს. ამის-გამო ამათი ურთიერთობა და მონაწილეობა საქმეში არის მოსაზრული, რომელიც ყველაზედ უფრო ძრიელ უჭირს ამგვარს საქმესა. ეს პირველი წევრნი - დამრდგენნი, რა-საკვირველია, რომ ჯერობით არ იქნებიან ბევრნი. ამ ახალს საქმეზედ შეიდებენ თავს მხოლოდ ცოტანი, ყვე-ლაზედ გამბედავნი და ცნობიერნი გლეხნი. ბოლოს ჩვენ უჩვენებთ მკითხველს, რა ღირსებაც არის საჭირო ამ გლეხთათვის. ეს პირნი სესხულობენ ურთიერთთა თავ-დებობით ფულსა, რომელიც საჭიროა პირველათ საქმის დაწყებისთვის. ისინი ირჩევენ ამ საქმის მმართველთა და მაგრათ უჭირავთ ამათზედ თვალი, რომ თავისის პი-რადის სარგებლობისთვის არავითარი ვნება არა მისცენ რა იმათ ამ დაწყობილებას. ამგვარი ყურადღება და შემა-კავებელი ღონისძიება სამმართველო პირთა მავნებელს მოქმედებაზედ დაწვრილებით არის შეტანილი ჩვენსგნით შემდგარს წესდებულებაში და განსაკუთრებითი დებულე-ბაში. რა კი ყველას აქვს აქ მონაწილეობა და მოვალეო-ბა, რა კი ყველას წევრთაგანს უჭირს ეს საქმე, ყველანი უგდებენ სასტიკათ ყურს საქმესა, ატანენ ძალას ფულის ვადაზედ შემოტანისთვის და ცდილობენ ყოვლის ღონის-ძიებით საქმის წარმატებას. ამგვარს გარემოებაში არ შე-

იძლევა, რომ ამხანაგობის საქმე არ წავიდეს წარმატებაში. ამისი სიკეთე და მოგება უეჭველია, რომ მიიზიდავს სხვათაცა, და რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა მცხოვრებნი იმ სოფელთა, სადაც ამხანაგობა დაარსებულა და რომელთაც უჭირთ ფული ვალათა, მოინდომებენ მონაწილეობას ამგვარს მკვიდრს და მოხაგებს საქმეში და შემოვლენ ამხანაგათ. ამგვარათ ამ საქმეში შევლენ ყოველნი ცნობიერათ საჭიროებისამებრ და ექნებათ გული დადებული საქმეზედ, რომელსაც არის მოკლებული სხვა რიგათ დაწყობილი ბანკები. რომ სწორეთ მართლაცა და ასე მოსდება, როდესაც ყველანი დაინახვენ ამხანაგების საქმის წარმატებას და მოგებას, ამას ამტკიცებს როყდესტვენსკის სასესხებელი ამხანაგობის საქმე. როყდესტვენსკის ვოლოსტში [ვოლოსტი არის რამდენიმე სოფელი-ერთი სამამასახლისო] არის ორი ათასი სული მცხოვრები მთლათა, რვაასი მოზრდილი მუშა კაცი. ამ რვაასს მუშა კაცში სამ წელიწად ნასევარს შევიდნენ მონაწილედ ამხანაგობაში ორას ორმოცდა ათი კაცი. ყოველ წლივ ემატება ამხანაგობას ორმოცდა ათი კაცი.

გარდა ამისა, რომ ამგვარს ამხანაგობას პირველ ხანათ უჭირს ფული სესხათა, ამას უნდა პირველად ზნეობითი დახმარებაცა, უეჭველათ საჭიროა, რომ პირველათ ამხანაგობის შემრდგენთ გლეხთ დაეხმარნენ ამ საქმის მცოდნე ნასწავლი

კაცნი, რომელთაც კარგათ აუხსნან აზრი სესხებით ამხანაგობებისა, გარემოებანი, რომლითაც შეიძლება ამ საქმის მკვიდრათ წაყვანა; უჩვენონ წესი ანგარიშთა წყობილებისა და წესებისა, წიგნებისა და დახლის [касса] გახსნება და შეთავსება; ერთის სიტყვით ისეთი კაცნი, რომელთაც უჩვენონ და შეაჩვიონ გლეხნი ყოველ რიგი ამ საქმის საჭირო გარემოებას და წარმოებას. ამგვარი პირველ საქმის დამწყებთათვის მოქმედება არ არის ადვილი. უპირველესი მოვალეობა ამათი არის ისა, რომ გააღვიძონ გლეხკაცებში თვით მოქმედება [самодѣятельность] ესე იგი, რომ თავის საქმის თადარიგის დაჭერა და თავშედება ჰქონდეთ იმათ თავის თავათ; მოიყვანონ ისინი იმ ცნობაზედ, რომ ისინი ჰხედავდნენ ამხანაგობაში თავის საკუთარს საქმეს, არ ერიდებოდნენ და არ უცხოვობდნენ ამ საქმეს. ამგვარ განათლებულ კაცთ დაუხმარებლივ არც გერმანიაში მოხერხდა ამგვარი ამხანაგობაების საქმის წაყვანა. ეგრეთვე არ გვეგულება რომ ჩვენშიაც ამგვარ კაცთა დაუხმარებლივ წავიდეს საქმე რიგიანათ და მოიკიდოს ფეხი ხალხში. ამისგამო ყოველი რიგიანი განათლებული კაცის საქმეა, რომელსაც აძლევს გარემოება ნებას, რომ დეეხმაროს ამ საქმეში გლეხთა და ერთხელ და ერთხელ შეაჩვიოს ისინი ამ კეთილ საქმეს, რომელიც ჯეროვნით არის უკეთესი ღონისძიება დაუსრულებელი ვალებიდამ გამოხსნისა.

სესხობითი ამხანაგობა არის ორგვარი, ერთგვარი არის, რომელიც ფულს სესხათ აძლევს მსესხებელთა ნივთიერი შეძლების დაგვარათ. აწონვა ნივთიერებითი შეძლებისა და ამ შეძლების შეფერებით ფულის სესხათ მიცემა არის დამოკიდებული ამხანაგობის საქმეთა მმართველებზედ. ამისგამო აქ შეუძლიან ზოგს მეტის დაზოგს ნაკლებისა ვალად ფულის გატანა. მეორე გვარი ამხანაგობა არის ისა, რომელიც ყველა წევრს, ესე იგი ამხანაგობაში მონაწილეს აქვს თანასწორი უფლება სესხათ ფულის გატანისა. აქ ერთმანეთზედ მეტის გატანა არ არის. შეძლებას აქ ადგილი არა აქვს. თუ კასსაში (დასლში) ფულია, რაც ერთს შეუძლიან რომ ისესხოს, ის მეორესაც. ჩვენ მივიღეთ წესდებულების შესარდგენათ მეორე გვარი ამხანაგობა, ესე იგი ის ამხანაგობა, რომელიც ყველა წევრს თანასწორათ აძლევს სესხათ ფულს. ჩვენ ამას ჩავდივართ იმ აზრით, რომ სოფელ ადგილებში არ არის იმგვარი გარჩევა შეძლებაში, როგორც ქალაქ ადგილებს, ანუ სხვა ბაზარ ადგილებში, ამისგამო არც იქნება უცხო აქ ყველასთვის თანასწორი ფულის სესხება, როგორც სხენებულს ადგილებში. რაკი ყველასთვის თანასწორი სესხი წესდება, აქ ვაშორებთ ამხანაგობათა მმართველობას იმ გარემოებათ, რომ იმათ არა ჰქონდეთ შემთხვევა თავის ხელობის ცუდათ სარგებლობისა: იმათ

ხელთ რაკი იქნება დიდიც და მცირე შემძლებელთა აწო-
ნვა და სესხის გადაწყვეტა, მაშინ უეჭველია, რომ ესენი
არ წაიცდენს ან ქრთამმა, ანმასპინძლობამ, ან მეგობ-
რობამ, ან მოყვრობამ. რაკი ეს არ არის, მაშინ იძულე-
ბულ იქნებიან, რომ ყველას იმდენი მისცენ, რაც
ეკუთვნით. მეორე მოგებაც კიდევ ის არის ამგვარს ამხა-
ნაგობის დაწესებაში, რომ უფრო მრავალთ ექმნებათ ნე-
ბა ამხანაგობაში შესვლისა და სესხათ ფულის შოვნისა.
შეძლებაზედ რომ ფულის სესხება მიგვეღო, მაშინ ვისაც
სრულიად არა ჰქონდა შეძლება, დარჩებოდა უსესხებლათ,
როდესაც რომ ამათ უფრო უჭირთ ფული, რომ მოიბ-
რუნონ რითიმე სული. ვალის პასუხის მგებლათ. ამ შემ-
თხვევაში, შეძლების მაგივრათ, ჩვენ მივიღეთ პირადი
ღირსება მსესხებლისა და იმ პირთა, რომელნიც იქნებიან
ამისი თავდებნი. რომ ამგვარათ დაწესებულს ამხანაგობას
აქვს დიდი წარმატება და მოგება, ამას გვიჩვენებს ჩვენ
როჟდესტვენსკის სესხებითი ამხანაგობა, რომელიც არსე-
ბობს კოსტრომის გუბერნიაში. ეს ამხანაგობა დაარდგი-
ნა 1866 წელს სვიატოსლავ ფეოდორიჩ ლუგინინმა. პი-
რველათ ამ ამხანაგობას ჰყვანდა მონაწილე, ანუ წევრი
ოცი კაცი, სათავნო ფული ასი თუმანი, რომელიც ისე-
სხა ამხანაგობამ უცხო პირისაგან ათის წლობითა. აქ
ყოველს მონაწილეს ჰქონდა უფლება თანასწორი ვალის

გატანისა. რვა თუმანზედ მეტი ვალი არავის არ ქონებო-და. დღეს [ამას სწერენ 1870 წელს.] ამხანაგობაში არის ორას ორმოცდაათი კაცი. მზადი თავნი [запасный капиталъ] სამოც დახუთი თუმანი, სამონაწილო ქონება [паевое имущество] ორასი თუმანი და გაცემული ამხანაგობაში მონაწილე პირებზედ ათას ორასი თუმანი. სამ წლის ნასყვრის განმავლობაში ამოდენა მოგება, ვგონებ ცხადათ ამტკიცებს ამგვარის ამხანაგობების ღირსებას. ამ სამიწლის განმავლობაში მარტო ორმა კაცმა არ შემოიტანა ვადაზედ ფული და დარჩენილი მათზედ ფული ამხანაგობამ აიღო მათივე ქონებიდამ. ასე, რომ ჯერ არავითარი ზარალი ამ მხრივ არც ამხანაგობას და არც თავდებთ არ უნახავთ, როდესაც რომ სხვა დაწყობილებას და გარემოებაში ამხანაგობა ასე ადვილათ ვერ მორჩებოდა მოვალეთაგან თავის ფულების ღსნასა. პირველს ხანებში არ ენდობოდნენ ამ ამხანაგობას და არ შეჰქონდათ გარეშე პირთ აქ სესხათ ფული. შემდეგ და შემდეგ რაკი დაინახეს მის სიმკვიდრე, თან დათან შეიტანეს და დღეს არის შეტანილი გლეხთაგან ას ორმოცდაათ თუმნამდისინ გამოსაზრდავათ ფული [вкладъ]. არ უნდა ისიც დაივიწყოს მკითხველმა, რომ ეს ადგილი, სადაც ეს ამხანაგობა არის დაწესებული, არის ურუ, ტყიანი ადგილი, სადაც გლეხკაცობა არის მეტათ გონება გაუხსნელი და გამოშტერებუ-

ლი, რომელნიც არიან მოშორებით ქალაქთა და დიდ შარა ადგილთა. თუ ამ რეგვენს სახლში წავიდა ამგვარი ამხანაგობა ასე კარგათა, თქმა აღარ უნდა, რომ უფრო გონება გაიხსნილდება სახლში მეტს წარმატებას ჰნახავს ამხანაგობა.

ჩვენ ჩვენს თავს ბედნიერათ შევრაცხავთ, თუ ამ ჩვენი ნაწერით შევადგენინეთ მცოდნე გამოცდილ კაცთ თავსა და შეუდგენით ამ საქმესა.

თუ სოფელს საწყალს გლეხს არ აღეპყრობა ხელი ხსნითა; მას სიღარიბისა და ვალებიდამ გამოხსნა არის ძნელი.

გლეხთა სიღარიბეს მოსდევს სიღარიბე არამცთუ სხვა წოდებათა, თვით მთელი სახელმწიფოს სიღარიბეცა, და კიდევ სხვა უარესიცა...

# რა არის საჭირო სასოფლო სესხებითი ამხანაგობის შერდგენისა და წარმატებისათვის.

## I

### საზოგადოების გახსნა.

ახლა შევუდგეთ პირდაპირ დაწვრილებით აღწერას იმ საგანთა, რომელნიც უეჭველათ უნდა მიეცეს საფუძვლათ ყოველს სასესხებელს ამხანაგობას, და იმ გარემოებათა, რომელმაც ამას უნდა მისცეს წარმატება საქმეში. ამ წიგნის ბოლოზედ ჩვენა გვაქვს დაბეჭდილი სამაგალითო წესდება სასოფლო სესხებითი ამხანაგობისა. ეხლანდელი ნაწერი არის გარჩევა და ახსნა იმ წესდებისა; ამისგამო ჩვენ დავიწყებთ ლაპარაკს ამ წესდებაზედ იმავე რიგ მოდევნით, რაც რიგ მოდევნა არის იქ აღებული.

რა განზრახვითაც სდგებიან სასესხებელი ამხანაგობანი ჩვენ საკმაოდ ავხსენით შესავალში, ამისგამო ჩვენ ახლა უჩვენებთ იმ ღონისძიებასა, რომლითაც უნდა დაიწყოს ამ საქმეთა. ეს ღონისძიებანი არიან შემდეგნი: 1] გავრცელება ამხანაგობის სარგებლობის აზრისა, იმ ადგილებში, სადაც ამ ამხანაგობის დაწყება სურთ; 2] მიზიდვა

გლეხთა ამხანაგობის შესადგენათ, და 3] შოვნა ფულისა, რომელიც არის საჭირო საქმის დასაწყობათ.

1.] სესხებითი ამხანაგობათა აზრის გავრცელება ხალხში არის მოვალეობა განათლებული კაცებისა და მეტადრე ახალგაზდობისა, რომელთაც შესტკივათ თავის ქვეყნისთვის გული. გლეხთაგან თავის თავათ ამ საქმეზედ თავის შედება ძნელი საფიქრელია, რათგან არ არიან ჯერ ამ საქმეს მიხვედრილნი. ამისგამო ნასწავლთ კაცთ ჰმართებთ, რომ გლეხნი მიახვედრონ ამ საქმეს და მის სარგებლობას. გარდა სიტყვიერათ ამ საქმის ქადაგებისა, ჩვენის აზრით ძალიან სასარგებლოა, რომ ეს აზრები წიგნათაც გამოვიდეს და გავრცელდეს ხალხში. ეს წიგნები უნდა გასაგონი ენით და კარგათ ახსნილი იყვნენ ყოველ მხრივ.

2] თუ გავრცელდა ეს აზრი და მიიღო ხალხმა, მაშინ უნდა შეუდგეს ამხანაგობის შედგენას.

თქმა აღარ უნდა რომ იმ კაცთა, რომელნიც შესდგომიან პირველ საქმის დაარსებას, უნდა კარგათა ჰქონდეთ ამ საქმეზედ აზრი გამორკვეული; ისინი უნდა ნათლათა ჰხედავდნენ იმ მოვალეობას, რომელსაც ამხანაგობის შედგენით კისრულობენ და არ უნდა ჰქონდეთ გაზვიადებული აზრი ამ საქმიდამ მოგებისა. იმათ უნდა კარგათ აწონვით იცოდნენ, რასაც მოგებასა ჰნახვენ ამგვარის

ამხანაგობით, რომ ბოლოს გული არ წაუხდეს, რაკი არ შეუსრულდათ თავისი გაზვიადებული აზრი. მაგრამ ეს ყველა ცოტაა იმ უმთავრეს საქმესთან, რაც წინ უდგათ პირველ დამწყებელთა. იმათ უნდა კარგათ აღსოვდეთ, რომ საქმის წარმატება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა რიგი ხალხი მიიღებს პირველადვე საქმეში მონაწილეობას. უკეთუ რიგიანი ხალხი შევიდა, საქმე რიგიანათ წავა; თუ შევიდა ჩარჩი ხალხი, ხალხი იმგვარი, რომელნიც, თუმცა არ არიან უგუნურნი, მაგრამ აზრათ მხოლოდ ისა აქვთ, რომ სოფელი რითიმე გაჰყვლიფონ და თვითონ მით შეიძინონ სარჩო, მაშინ ამხანაგობა სრულიად აღარ მოუტანს სარგებლობას დაბალსა და შუათანა შეძლების ხალხს სოფელში. ამგვარი ბანკი იქნება მხოლოდ ბანკი სოფლის მუვლეფელთა, ეს ბანკი იქნება მხოლოდ ახალი ძალა სოფლის შემწუსლებლების ხელში, უბრალო ღარიბი და მართალი ხალხის საყვლეფად და საჩაგრავათ. ამისგამო ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს პირველ საქმის დამწყობი, რომ პირველადვე წევრებათ შევიდნენ კარგი ზნისა და სინიდისიერი გლეხნი, რომელნიც არ ერიდებოდნენ ღარიბს გლეხთა, რომელთაც, თუმცა არა აქვთ შეძლება, მაგრამ აქვთ სინიდისი და შეუძლიანთ შრომა. ამ წევრთ უნდა ჰქონდეთ კარგათ აღებული თავში, რომ ბანკი წესდება უფრო ღარიბისა და გაჭირვე-

ბული კაცის ხელის გასამართათ, ვიდრე უფრო შეძლე-ბული კაცების დასახმარებლათ, რომელთაც უიმისოთაც აგრე რიგათ არ უჭირთ ფული.

უმჯობესი იქნება, რომ წესდების შედგენაზედ მი-იღონ მონაწილეობა ყველა ამხანაგობის შემადგენელთა, რათგან იმათ ყველაზ კარგათ იციან საჭიროება თავისი, თავის მდგომარეობის გარემოება და ალაგის საჭიროება.

მონაწილეთა ანუ წევრთა რიცხვი არის იმაზედ დამო-კიდებული, რომ შეიძლება თუ არა პირველ ორს სამს წელიწადს საქმის სამმართველოთ ხარჯი არ გასწიოს ამ-ხანაგობამ. თუ როგორმე აიცდენენ ამ ხარჯს, მაშინ შე-იძლება, რომ საქმე ორმოცდაათი თუმნითაც დაიწყოს და ამ ფულის შესაფერათ რიცხვი წევრთა უფრო მეტი იყვეს, მაგრამ ეს უნდა ახსოვდეთ, რომ რიცხვი მონაწილეთა იმდენი უნდა იყვეს, რომ ორს წელიწადში ერთხელ მა-ინც შეხვდეს რიგი სესხისა და მეტათ ბევრი მოვალეობა არ აწვეს თვითო წევრს. უკეთუ პირველადვე მოუხდება ამხანაგობას ხარჯის გაწევა საქმის მმართველზედ, მაშინ თავნი ფულის საქმე ისე უნდა იყვეს დაჭერილი, რომ მის მოგება ჰყოფნიდეს ამ ხარჯს. ამშემთხვევაში პირველ დაწყების დროს ფულიც მეტი უნდა იყვეს და წევრნიცა, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომ სამმართველოთ ხარჯი არ გასწიოდა ამხანაგობას. მაინცა და მაინც ჩვენ აქ ერთი

რჩევა შეგვიძლიან მივცეთ ამხანაგობასა. ეს რჩევაც ის არის, პირველი, რომ ყოველი ამგვარი ამხანაგობა უნდა ეცადოს—ათავსოს მარტო იმოდენა ფული, რომ არამცა და არამც არ დარჩეს მეტათ სამძიმოთ თითო მონაწილეს ის ფული, რისაც პასუხის გება ამას წილათ შეჰხვდება იმ პირებთან ანუ სახამართლოსთან, რომლისგანაც არის ნასესხი სათავნო ფული. ეს ფული იმოდენა უნდა იყვეს, რომ ყველა მონაწილეთაგანს შეეძლოს თავის წილისა მორთლაცა და გარდახდა; მეორე ისა, რომ სათავნო ფული იმოდენა უნდა იყვეს, რომ ყველას შესვდეს ორს წელიწადში ერთხელ მაინც არის სრული სვედრი ფულის სესხათ მიღება, და მესამეც ისა, რომ ყოველი ხარჯი ააყენოს სათავნო ფულის მოგებამ. წარმოვადგენთ ამის მაგალითსა, რომ უფრო კარგათ მისვდეს მკითხველი. ვთქვათ ამხანაგობას ეხარჯება სამხანაგო საქმის მმართველზედ წელიწადში ხუთი თუმანი. სათავნო ფული აქვს ასი თუმანი, რომელშიც სარგებელს აძლევს თუმანზედ წელიწადში სამ აბაზს. სარგებელი გასდის ექვსი თუმანი. ხარჯი საქმის სამმართველოში აქვს ხუთი თუმანი. ეს თერთმეტი თუმნი რომ ხარჯი აქვს ასლა უნდა ისე გავასესხოთ სათავნო ფული, რომ ამისმა სარგებელმა გაისტუმროს ეს ხარჯიცა, თერთმეტი თუმანი, და არც სამძიმოთ მიაჩნდეს მსესხებელთა ამის სარგებლის გადა-

სდა. ამისგამო ას თუმანში ორმოც მონაწილე წევრზედ ნაკლები აღარ შეიძლება, რათგან ნაკლები რო იყვეს სარგებელი მეტი შეხვდებათ და დაუძიმდებათ ვალი. სარგებლიც თუმანზედ ექვს აბაზ ნაკლები არ იქნება წელიწადში, რათგან ნაკლები ხარჯს ვეღარ აუვა. თითო მონაწილე წევრსაც იმოდენა ფული უნდა მიეცეს სესხათ, რომ სხვებსაც ყველას შეხვდეთ ამოდენასავე აღება ორს წელიწადში. ამისგამო წლის ვადით რომ მიეცეთ სესხათ, თითოს შეხვდება მარტო ხუთი თუმანი წელიწადში სესხი. აქედამ ის მაგალითი გამოდის, რომ პირველად აღებულს სათავნო ფულის სარგებელზედ და ხარჯზედ არის დამოკიდებული ზომა წევრთა სიმრავლისა და სარგებლის დადებისა.

3) რაღა თქმა უნდა, რომ დიდს ხანს მოუნდება ლოდინი ამხანაგობას თუ მარტო თავის შემონატანი ფულით მოინდომეს სათავნო ფულის შერდგენა. ამისგამო იმათ უთუოდ დასჭირდებათ პირველ ხანათ სადმე სარგებლით ფულის შოვნა. რასაკვირველია, რომ პირველათ ამგვარს საქმეს ყველანი დაუწყობენ იჭვით ცქერას, და ადვილათ არავინ ანდობს ამათ ფულსა, მაგრამ, როდესაც დაინახვენ, რომ ეს უფრო მკვიდრია სხვა საქმეზედ, უფრო გაიმეტებენ სასესხებლათ ფულსა და უფრო პირიანათაც მისცემენ, ვიდრემ სხვა ცალკე ვისმე კაცსა, რომლისგანაც ღმერთმა უწყის, გამოიტანენ თუ

არა, და ამათზედ კი არასოდეს არ დაეკარგებათ რადგან მთელი ამხანაგობაა, რომელშიც ყველა წევრნი არიან ერთი-ერთათავდებნი, და ერთი და ორი რომ შეუძლებელი გამოდგეს, სხვა ათი და ოცი უგებს ამათს მაგივრათ პასუხსა. [*] ფულის სესხებაზედ უნდა იყვნენ შემდეგი პირობანი: 1) ნასესხს ფულში არიან ყველანი პასუხის მგებელნი როგორც თავის თავის მაგიერათ, ისე ერთიერთთა მაგიერათ, ესე იგი, არიან ურთიერთთა თავდებნი; 2] ნასესხი ფული უნდა იყვეს იმ ზომისა, რომ მსესხებელთ არ უჭირდეთ მის გადახდა, ესე იგი არ იყვეს გლეხკაცისთვის ხამქიმო მის პასუხის გება, და რომ ურთი ერთა თავდებობას შეეძლოს სრული პასუხის გება ამ ფულში; 3] ფული უნდა ისესხოს დიდის ხნის ვადით, ხუთი წლისვადით მაინცა და ის უნდა გადიხადოს წვრილ წვრი-

---

*) პირველ წელიწადს ჯერს საქმე, თორემ მეორე წელიწადს 25 თებერვლისს 1872 წლის უქაზის ძალით, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, შეუძლიანთ გამოიტანონ სახელმწიფოთ ფული და გაისტუმრონ კერძო მოვალე, უკეთუ ისინი უფრო მეტს სარგებელს იღებენ, ვიდრემ სახელწიფო ბანკი და მათი გაყოფილება ან კანტორა. ვინიცობაა როგორ იყვეს საქმე, შეიძლება, რომ პირველ ჟამათ ერთის წლობით უფრო დიდის სარგებლითაც აიღონ ფული კერძო პირთაგან და მეორე წელიწადს გაისტუმრონ სახელმწიფო ფულით.

ა. ფ.

ლათ, ისე რომ არ იყვეს ეს საგრძნობი ამხანაგობის საქმისათვის და არ მოიშალოს ეს საქმე.

როდესაც ამხანაგობაც შერდგება, ფულიც ნაშოვნი იქნება, წესდებაც შემდგარი და მიღებული იქნება ამხანაგობისგან, მაშინ უნდა ითხოვოს მმართებლობისგან ნებართვა. ეს ასე უნდა. ღუბერნატორს უნდა მიართვას ამხანაგობამ ქაღალდი, რომელზედაც ყველაამხანაგს უნდა ეწეროს ხელი, და სთხოვოს, რომ იმან უშუამავლოს უმაღლეს მართებლობასთან ნებართვა ამ ამხანაგობის დაწესებაში. ამ ქაღალდთან უნდა წარადგინოს წესდებაც. როდესაც მოუვა ნება, ამხანაგობა იწყებს მაშინ თავის მოქმედებას.

## II

## საკუთარი თავნი ფული ამხანაგობისა.

რაკი უჩვენეთ მკითხველს ის ვითარებანი, რომელიც საჭირო არიან ამხანაგობის გაღსნისათვის, ჩვენ ახლა შეუდგებით წესდების წვრილების სინჯვასა. ჩვენ ჯერ ვილაპარაკებთ იმაზედ, როგორ უნდა შესდგეს საკუთარი თავნი ფული ამხანაგობისა, რომ ეს დაეხმაროს ნასესხებს ფულს და შეავსოს ის ფული, — ესე იგი ჩვენ გვექნება ლაპარაკი სამონაწილოთ შენატანს ფულზედ (паевой взносъ) და მზად თავნზედ (запасный капиталъ)

## სამონაწილო ხვედრი (паевая доля)

სამონაწილო ხვედრის რაოდენება უნდა იყვეს გადაკვეთილი წესდებაში, რომლითაც უნდა ჰქონდეს ნება მიცემული ამხანაგობას, რომ ბოლოს, თუ დაინახა საჭიროთ ან ხვედრს გინდა მოუმატოს გინდა მოუკლოს. სამონაწილო, ხვედრი არ უნდა იყვეს დიდი, რომ მისი შემოტანა ან გაუჭირდეთ ან უმძიმდებოდეთ და მით დროზედ არ შემოჰქონდეთ ფული. ჩვენის აზრით სამი თუმნიდამ ხუთ თუმნამდის საკმარი იქნება თითო წევრზედ სამონაწილო ხვედრ ფულადათ. რასაკვირველია, რომ ამ ფულისა ერთბაშათ შემოტანა გაუჭირდებათ მომეტებულ ნაწილ გლეხთ. ამისგამო ეს ხვედრი ფული უნდა შემოიტანონ წვრილ წვრილათ. გერმანიაში თვეობით აქვთ გადაკვეთილი წვრილ-წვრილათ ამ ფულის შემოტანა; მაგრამ, რადგან ჩვენ ნემეცებივით ნიადაგ არ გვახსოვს ჩვენი მოვალეობა დაყოველთვე არ მოგვაგონდება რომ შეტანის ვადა გვაქვს, ამისგამო ისა სჯობიან, რომ ჩვენებურს კაცს გადუჭრას წელიწადში ოთხი ვადა, რომელსაც ამხანაგობათა ყრილობა იქნება დანიშნული და ამ ვადაზედ შემოიტანონ თავთავისი სამონაწილო ხვედრი ფული-დამ ორი აბაზიდამ ათ შაურმდის. წელიწადში ორ მანეთს ზევით აღარ უნდა წავიდეს ეს შემოსატანი ფული, ვიდრემ არ შესრულდება სრული სამონაწილო ხვედრი, თორემ დაუმძიმდებათ მომეტებულ ნაწილ გლეხთ შემოტანა, და ბევრს კიდეც გაუჭირდება ამხანაგობაში შემოსვლა. ამის-

გამო ვადაზედ ამ ფულის შემოტანას, გარდა ამხანაგობის ღონისძიების წარმატებისა, აქვს კიდევ ის მნიშვნელობა, რომ სწრთვნის ხალხსა: ისაჩვევს ამათ რიგზედ საქმიანობასდა საქმისმიყოლას,თავდარიგს(ანუ როგორც რუსებიიტყვიან— აკურატნობას(, ურომლისოთაც არც ერთი ამხანაგობა არ ივარგებს. ამ მიზეზით ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ცოტა სამონაწილო შემოსატანი დაიდოს, ოღონდ ეს შემოსატანი უნდა შემოდიოდეს ვადაზედ დარიგზედ, და ამაზედ კი უნდა ჰქონდეს ამხანაგობას სასტიკი ყურადღება. ჩვენის აზრით წესდებაში უნდა იყვეს მოხსენებული და დადებული,რომ ვინც ვადაზედ არ შემოიტანს ამ სვედრს ფულს, გამოირიცხოს ამხანაგობიდამ. გასაკვირველი არ არის, რომ პირველ ხანებში ბევრი გამორიცხოს ამხანგობიდამ. მაგარმ ეს ხსვებს ასწავლის ჭკუას და შემდეგში ყველა უფრო შე, იდებს თავსა, და ეს დიდისიკეთეა, როგორც იმათთვის, ვისაც გამორიცხვენ, ისე ამხანაგობის საქმისათვის. გამორიცხულებიც შეიძლება, რომ მერე ისევ მიიღოს ამხანაგებათ, მაგრამ თავის მხრივ ესენიც ჭკუას ისწავლიან და კვლავ აღარ გაჰბედამენ ამ საქმეს. რაკი შესრულდები სამონაწილო სვედრი სრულიად ამგვარი წვრილ წვრილი შემოტანით, მაშინ, როჯორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოისპობა შემოტანა სამონაწილო სვედრისა. ვისაც უნდა, რასაკვირველია შეუძლიან თავისი სვედრი ერთბაშათ შე-

მოიტანოს, ან ერთბაშათ ბევრ ბევრი შემოიტანოს და მით გადასწყვიტოს თავის სვედრი. ეს სამონაწილო სვედრი არის საკუთრება შემამტანისა, მაგრამ ამის გატანა არავის არ შეუძლიან, მინამ არ გასულა ამხანაგობიდამ და მინამ ხდევს იმას ამხანაგობის რომელიმე მოვალეობა, რომელზედაც ვილაპარაკებთ ქვემოთ. ამხანაგობა ესე არის თანასწორობისა. ამისგამო აქ ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი მონაწილეობა, რომლის მიზეზითაც არ აქვს ნება არავის, რომ სამონაწილო ფული სხვებზედ მეტი შეიტანოს, რომ მით სხვებზედ მეტი ნება არ მიეცეს, თორემ მთლათ საქმე სულ წახდება იმიტომა, რომ შეძლებული კაცები შეიტანენ იმდენსა, რომ მთლათ ეს საქმე სულ თითონ ჩაიგდონ ხელთა, და მაშინ ეს ამხანაგობა გახდება სავნებელი ღარიბი ხალხისთვის, რომლისთვისაც უნდა ზრუნავდეს ამგვარი ამხანაგობა.

ბ] მ ზ ა დ ი  თ ა ვ ნ ი [Запасный капиталъ]

მზადი თავნი რდგება იმისთვის, რომ მოვალეებს უფრო იმედი ჰქონდეთ ამხანაგობისა, რომ ამხანაგობასა აქვს იმდენი მზა ღონისძიება, რომ რა დროსაც უნდა პასუხს გასცემს, და ამასთან რდგება კიდევ იმისთვისაც, რომ გასცეს პასუხი რომელსამე მოულოდნელს ხარჯსა, რომელიც არა ჰქონიათ სასეში. რომ უფრო მკვიდრათ წავიდეს მზადი ფულის საქმე, უმჯობესია, რომ პირველი წლის მოგები-

დამკე მიეცეს საფუძველი. თუ ეს მოგება არა კმარა ამისთვის,
მაშინ მეორე წლისა ზედ დაედოს. რაკი მიეცემა მზად თავნს
საფუძველი, მაშინ ამის შესავსებლათ უნდა მოემატოს
ცოტ-ცოტათი შემდეგი წლების მოგებიდამ მცირე ნაწი-
ლი: რამდენი უნდა შეადგეს მზადი თავნი, ამის თქმა
ძნელია. ჩვენ დავდეთ ჩვენგნით შერდგენილს წესდებაში
წმინდა მოგებიდამ თუმანზედ მანათი ამ თავნის შესარდ-
გენათ.

მზადი თავნი არის საკუთრება მთლათ ამხანაგობისა,
განსაკუთრებით თვითეულს ცალკე ის არავის ეკუთვნის.
ამის გაყოფა შეუძლიანთ მხოლოდ მაშინ, როდესაც და-
იკეტება ამხანაგობა, მაშინაც წილი მხოლოდ იმათ აქვთ
აქა, ვინც დაკეტის დროს ირიცხებიან ამხანაგებათ: ვინც
წინათ გამოსულან ამხანაგობიდამ, იმათ არა აქვთ გაყო-
ფაში წილი. ურიგო არ იქნება, რომ წესდებაში შეიტა-
ნონ ამხანაგობის შემრდგენთა: რომ ეს მზადი თავნი,
ვინიცობაა ამხანაგობა დაიხუროს, არ გაიყოს და დარჩეს
საზოგადო სოფლის საქმეების სასარგებლოთ, მაგალითათ
სასოფლო სასწავლებლისათვის ანუ სხვა ამგვარი სასოფლო
წარსამატებელი საერთო საქმისათვის. ეს მიტომ უფრო
სამართლიანი გადაწყვეტილობა იქნება, რომ დაკეტის
დროს დარჩენილს ამხანაგებს ძვირათ თუ ვისმე ექნება
სრული ამაგი და ძვირათ თუ, რაც ამას წილათ ფული

შეხვდება, იქნება ამისი ნაღვაწიდამ შექმნილი. ამასთან, ამის შემდეგნაში ზოგს მეტი წილი აქვს, ზოგს ნაკლები, და ყველამ კი თანასწორი წილი უნდა მიიღოს.

რომელიმე ნაწილი მზადი თავნისა უნდა იყვეს ნიადაგ უძრავათ კასსაში [დახლში] და არ გადიოდეს ჰსათავნოთ, რომ ეს ფული მზათ იყვეს ყოველი მოულოდნელი ხარჯისა ანუ ზარალისთვის. ჩვენის აზრით პირველათ ნახევარი უნდა იყვეს ამ თავნისა უძრავი და შემდეგში, როცა ეს ფული იმატებს, მაშინ ამისი მეოთხედი. შეიძლება, რომ ეს ფული კასსის მაგივრათ რომელსამე ბანკში მიეცეს უვადოთ და მის ბილეთი იქონიოს კასსაშივე. ესე უფრო უკეთესი იქნება, იმიტომ რომ ფულიც უძრავი იქნება და სარგებელსაც აიღებს.

---

## III

## ამხანაგობისაგან ვალების აღებაზედ.

გარდა იმ ფულისა, რომელსაც სესხულობს ამხანაგობა პირველ ხანათ ამხანაგობის საქმის დასაწყისათ, კვლავაც ხშირათა სჭირდება ხოლმე ამხანაგობას ფულის სეს-

სება რომ შეიძინოს ყოველ რიგი საჭიროებისათვის საკმაო ფული. ამის საჭირო ფული შეუძლიან რომ ისესხოს ამხანაგობამ და შეუძლიან კიდევ შეიძინოს იმგვარათ, რომ მიიღოს შესანახათ ანუ გამოსაზოგათ ფული სხვა და სხვა პირთაგან, რომელთაც უნდათ თავის ფულის შენახვა სანდო ხელში. ამისგამო ამგვარი ამხანაგობა უნდა იყვეს გამო-საზოგ ანუ შემნახავ კასსათ ანუ დახლათ [Сберегательною кассою]. ამისგამო ამხანაგობას აქვს ორ რიგი სესხის ღონისძიება: 1] ვადით ფულის ვალათ აღება და 2] უვადოთ გამოსაზოგათ ანუ შესანახათ ამხანაგობის კასსაში ფულის მიღება. *] თვითეულს ამ ვალზედ ჩვენ ვილაპარაკებთ ცალკე.

## ა) ვალი ვადით აღებული.

ვადით ვალის აღება ისე გარეშე პირთაგან შეიძლება მხოლოდ მთლათ ამხანაგობის შეყრილობის გადაწყვეტილობის ძალით. როდესაც შეიყრება ამხანაგობა, უნდა ამ-

---

*] ვადით იმას ჰნიშნავს, რომ ამ დადებულს ვადამდის მოვალე ფულს ვერ იიხოვს; უვადოთ იმას ჰნიშნავს, რომ ფულის შემომტანნს შეუძლიან რა დროსაც უნდა მოითხოვოს და გამოიტანოს ამხანაგობიდამ ფული.

ა. ფ.

ხანაგობის საქმის მმართველთ პირთ წარუდგინონ საბუთნი, რომლის მიზეზითაც საჭიროთ ჰხედამენ ვალის აღებას; ამასთან უნდა წარუდგინონ ანგარიში, რა ვადით იძლევა მოვალე ფულსა და რაოდენ სარგებელსა თხოულობს ამ ფულში. ამგვარი ნება ამხანაგობათა შეყრილობისა არის იმიტომ საჭირო, რომ მთლათ ამხანაგობა უფრო დააფასებს საჭიროებას და თუ დიდათ სასარგებლოთ არ დაინახავს, არ ივალებს. ეს ნება, ესე იგი ვალის აღება, რომ მარტო მმართველთ პირთა ჰქონდეთ, მაშინ შეიძლება, რომ ამათ ცუდათ ისარგებლონ თავის ნებითა და რამე თავისის სასარგებლო მიზეზით უბრალოთ დაატეხონ ამხანაგობას ვალი და მით დასცენ ამხანაგობათა დაწყობილება.

ამგვარი ვალი არ უნდა აიღოს ამხანაგობამ იმ ვადაზედ მოკლეხნით, რაც ვადით უნდა მიეცეთ ეს ფული ამხანაგობაში მონაწილე პირთა სესხათა, რომ მიცემულს ვადაზედ მოისწროს ამხანაგობისგან წაღებულის ფულის შემოტანამ. ამ ფულის პატრონს თავის ფულში ეძლევა თამასუქათ ბარათი, რომელზედაც აწერს ამხანაგობის საქმის განმგებელი (Распорядитель) ხელსა ამხანაგობის ბეჭედ დასმით.

## ბ) გამოსაზოგათ ანუ შესანახათ შენატანი ფული (**ВКЛАДЫ**) ანუ უვადოთ ნავალები.

ამგვარათ ფულის შეძენა უფრო სხვა ნაირია, ამ შემთხვევაში ამხანაგობა კი არ დაეძებს ფულს სასესხებლათ, პირიქით, ფულის პატრონებს თვითონ მოაქვთ შესანახათ ანუ გამოსაზოგათ. ამისგამო აქ არ არის საჭირო ყოველთვის და ყველასთან ცალ-ცალკე პირობის შეკვრა. ამგვარათ ფულის შემომტანისთვის იწერება ერთხელ და ერთისელ ერთი პირობა და ვისაც ეს პირობა მოსწონს თავისთვის სასარგებლოთ შეუძლიან ისარგებლოს ამ პირობით და შეიტანოს აქ თავის ფული შესანახათ. ამგვარი ფულის შემტანთათვის იწერება ყოველ ანგარიშის წლის თავზედ წესი, რომლითაც იკვეთება რამოდენი სარგებელი მიეცემათ ფულის შემომტანთ თავის ფულში, და რა პირობებით შეუძლიანთ იმათ თავის ფულის უკან გატანა. ფულის უკან გატანის შესახებ ისეთი პირობები უნდა დაწესდნენ, რომ, ვინიცობაა ერთბაშათ უკან ბევრი ფულის გატანა მოინდომონ, არ დაუმძიმოს ამან ამხანაგობას, ამ გვარი უცნაური საქმის განსარიდებლათ ჩვენის აზრით არ იქნება ურიგო, რომ დაწესდეს ამ რიგი პირობანი: ვისაც გამოსაზოგათ ანუ შესანახათ აქვს შემოტანილი ფული სამ მანეთამდის, დაუბრუნდეს მაშინ-

ბქ, რამწამს ითხოვოს, იმ ფულიდამ, რომელიც იმ დროს დასხლში იყვეს, თუ არა და მზადი თავნიდამ, რომელიც დევს დასხლში უძრავათ. მაგრამ ეს მზადი თავნი კი ისევ უნდა შეავსოს პირველი შემოსული ფულიდამ; უკეთუ მოსოვნელს აქვს შემოტანილი სამს მანეთზედ ზევით კიდრე ოცდახუთ მანეთამდის, მაშინ მიეცეთ ამათაც მაშინ-ვე-უკეთუ კასსაში ფული არის, თუ არა და მიეცეთ პირველ კასსაში შემოსული ფულიდამ; უკეთუ ოცდახუთმანეთ ზევითა აქვთ შემოტანილი და უნდათ უკან გატანა, მაშინ ამ ფულის პატრონთ ერთის თვის წინათ მაინც უნდა აცნობონ ამხანაგო-ბის საქმის მმართველთა, რომ ამათ ჰსურთ თავის ფულის გატანა. გარდა ამხანაგობაში მონაწილეთა, სხვათაც შეუძლი-ანთ გამოსაზოგავათ ფულის შემოტანა. ამგვარს ფულზედ სარგებელს ჰნიშნავს ამხანაგობათა საზოგადო ყრილობა. ეს სარგებელი არ უნდა იყვეს წელიწადში თუმანზედ სამ აბაზედ მეტი [6%]; მაინცა და მაინც ეს სარგებელი სამს აბაზზედ სამი შაურით მაინც უნდა იყვეს ნაკლები იმ სარგებელზედ, რასარგებლითაც ავალებს ამხანაგობა თა-ვის ფულს, თორემ ამხანაგობა ვერ ნახავს საკმაო სარ-გებლობას და ზოგს გარემოებაში იქნება კიდეც იზარა-ლოს. გამოსაზოგი ფულის შესავალ გასავლის ჩასაწერათ ამხანაგობა არდგენს ამისთვის საკუთარს წიგნს იმ ფორ-მით, რომელიც არის ბოლოზედ მოყვანილი, [ფორმა ა.]

აქაც კიდევ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვალათ აღებულს ფულსა თუ გამოსაზოგათ მიღებულს ფულსაც უნდა ჰქონდეს საზღვარი, თორემ მაშინ ურთიერთთა თავდებობა ჰკარგავს ყოველს ძალას. სიფრთხილეს თავი არა სტკივა. თუმცა ძნელი მოსალოდნელია, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ იქნება ამდენი ფული შემოიტანონ გამოსაზოგათ, რომელსაც სესხათ აღარა საჭიროებდეს არავინ ამხანაგობაში. მაშინ უნდა ამხანაგობამ აძლიოს ამას ტყუილათ სარგებელი და მით მიიცეს ზარალი. ამის გამო საჭიროა, რომ აიღოს ამისი ზომა ამხანაგობის საკუთარ თავნს ფულზედ,—ესეიგი, შეგროვებულს სამონაწილო ფულზედ და მზად თავნზედ. ეს ზომა უზარალოთ შეუძლიან გადიკვეთოს ამხანაგობამ მანეთს საკუთარს ფულზედ ხუთი მანეთი სესხი (ვალათ აღებული თუ გამოსაზოგათ შემოტანილი სულ ერთია.] ასე, რომ, ვსთქვათ, მაგალითათ, ამხანაგობის შესადგენათ ასი თუმანია ნავალები, ამხანაგობას საკუთარი ფული ოცი თუმნის მეტი ჯერ არა აქვს. ოცი თუმანი ას თუმანთან ისეა, როგორც ერთი მანეთი ხუთ მანეთთან; მაშასადამე ჯერ კიდევ სესხი (ვალათ თუ გამოსაზოგათ ფულის მიღება] არ შეუძლიან ამხანაგობას. რაკი ოცს თუმანს გადასცდება საკუთარი თავნი ას თუმანს ნასესხთან, მაშინ

შეუძლიან მანეთზედ ხუთი მანეთი ივალოს ამხანაგობამ, თუმანზედ ხუთი თუმანი და სხ.

---

## IV

## ურთიერთთა თავდებობა.

სამარხსათ ანუ გამოსაზოგათ შემოტანილს ფულზედ და ნავალებს ფულზედ ამხანაგობა უგებს პასუხს ურთი-ერთთა თავდებობით, ესე იგი ყველანი ერთმანეთის მა-გივრათ და ერთი ყველას მაგივრათ, როგორც ეს არის დაწვრილებით ნათქვამი ქვემოთ მოყვანილს წესდების § 13 [მეცამეტე მუხლში) ჩვენ ამ ის აღხსნას არა ვრაცხთ საჭიროთ, რადგან შესავალში ამის მნიშვნელობასა და სარგებლო-ბაზედ საკმაოთ ვილაპარაკეთ.

---

## V.

## ამხანაგობაში მონაწილეთა ფულის სესხებაზედ.

ჩვენ შესავალში უჩვენეთ მიზეზნი, რომლისა გა-მოც ნივთიერს შეძლებაზედ არ უნდა ეძლეოდეს არავის სესხათ ფული. ამგვარი წესი რომ დამდგარიყო, ეს გა-ავრცელებდა სამართველო პირთა შორის თვით მნებე-

ლობას, თავის საკუთარს სურვილზედ მოქმედებას, მაშინ როდესაც ამგვარი საქმე უნდა იყვეს უმანკო დ~ უანგარო ურომლისოთაც, თუ არ ზარალს, სარგებელს არ მოუტანს არავის ეს საქმე თითო ოროლა პირთ გარდა. ნივთიერებითი შეძლებაზედ რომ იყვეს ფულის სესხება, მაშინ სხვებზედ შემძლებელთ შეუძლიანთ დაიჭირონ მთლათ ერთიანათ ამხანაგობის ფული ხელთ სესხათა, დ~ სხვები კი, რომელთაც უფრო ძრიელ უჭირთ დ~ რომელთათვისაც უფრო უნდა იყვეს დარდგენილი ამხანაგობა, გაუშვან ისე; დ~ მერმე ამ შემძლე კაცთ უნდა გაჭირვებულებს აძლიონ ეს ფული მამასისხლათ დ~ ატყაონ ისინი თავიანთსავე ფულის სარგებელში. მაშინ ამ ასანაგობას რაღა სარგებლობა შეეძლება, ვნების მეტი გაჭირვებულთათვის? პასუხის მგებლათ (გარანტიათ—Гарантіею] ამ შემთხვევაში ნივთიერებითი შეძლება კი არ არის მონაწილე პირთაგან ხაჭირო ამხანაგობისთვის, არის საჭირო პირადი ღირსება იმათი. ამის გამო უნდა უთუოთ დაინიშნოს ზომა, რომლის ზემოთაც არ უნდა მიეცეს არავის სესხათ ფული. ამ ზომის დანიშნვაზედ ამხანაგობას მოვაჭრე გლეხნი ანუ შეძლების პატრონნი კი არ უნდა ჰყვანდეს სასეში, უნდა ჰყავდეს სახეში ღარიბი დ~ გაჭირვებული გლეხნი, რომელთაც, უჭირთ გამოსვლა თვის ნივთიერი უძლურებისაგან. ამგვართ გლეხთ უჭირთ ფული ზოგჯერ სახელმწიფო გა-

დასახადისთვის, რომელშიაც გაუყიდიან უკანასკნელს სარჩოს თუ დროით არ გაისტუმრეს; უჭირს, მაგალითათ, უღელი ხარი ან კამბეჩი ან ფური; ან დაკლდა ჲ უჭირს პური; ან მეღორეა ჲ უჭირს მოსაშენებლათ ღორის გაჩენა, ან მეცხვარეა ჲ უჭირს ეგრეთვე მოსაშენებლათ ჲ სხვა ამგვარი წვრილმანი საჭიროებანი, რომელთაც ღარიბი კაცისთვის შეადგენს ბევრს რასმე ჲ გაუმართავს ხელსა. ამისგამო, ჩვენის აზრით, ამ წვრილმანი საჭიროებისთვის, რომლისაც მეძებრით მარჯვე ჲ ყაირათიანს კაცს შეუძლიან გაიკეთოს თითქმის სამარადისოთ საქმე, საკმაოა რვა თუმანი. ამაზედ მეტის გაღება დააუძლიებს ამხანაგობის თანხასა ჲ შეძლებას ჲ ვეღარ გასწვდება ბევრს ხალხსა ჲ ამხანაგობაში შესვლასაც გაუჭირებს ბევრს რათგან მეტი სესხის გაღებას მოსდევს მეტი ხემონაწილო ფულის შეტანაც ჲ მეტი ფულის სესხებაც გარეშე პირთაგან. *) ეს უმაღლესი ზომა სესხისა უნდა იყვეს დანიშნული წესდებაში, ჲ შემდეგ შეიძლება შეიცვალოს

---

*) უფ. ლუგინინს ჲ იაკოვლევს უმაღლესი ზომა ჲ მაზედ მოსაზღვრა სხვა რიგი ჰქონდათ თავის წიგნში, რომელნიც ჩვენ არ გადმოვიღეთ, რადგან ის მოსაზღვრანი ჲ ზომა იყო დამყარებული სხვა რიგს საჭიროებაზედ, რომელნიც ჩვენ აგრე რიგათ არ შეგვეხებოდნენ.

ა. ფ.

საზოგადო ამხანაგობის შეყრილობის გადაწყვეტილებით. ყოველს მონაწილეს შეუძლიან მიიღოს ესეოდენი ფული უკეთუ შეასრულებს იმ პირობათა, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ და უკეთუ ამხანაგობის დასლში იმ ჟამად არის თავისუფალი ფული, რომელიც სხვარისთვისმე არ არის დანიშნული. თუ არ არის დასლში ფული, მაშინ იწერებიან ფულის მომთხოვნელნი დავთარში და ელიან რიგსა.

უკანასკნელი ვადაც, რა ვადაზედაც უნდა შემოიტანონ სესხათ წაღებული ფული, უნდა იყვეს დანიშნული წესდებაში. ვადა სვნა თესვის მიმოდევარს სოფლებში უნდა იყვეს ერთი წელიწადი, რადგან მოსავალი მხოლოდ წელიწადში ერთხელ მოდის; სადაც მისდევენ პირუტყვთა მოშენებას, მაგალითათ მეძროხობას, მეცხვარობას, მეღორობას და სხვა ამგვარები, იქ საკმაოა ნახევარ წელიდი, რადგან იქ ყოველთვისა აქვთ დრო საქონლის გასაღებისა. ფულის შემოტანა მსესხებელთ შეუძლიანთ ვადამდის წვრილ-წვრილათ. უკეთუ ვინმე ვერ შესძლო ვადაზედ ფულის შემოტანა, მაშინ შეიძლება, რომ მიეცეს ახალი ვადა, უკეთუ თავდებნი გასდებიან ყაბულსა; მაგრამ ახალი ვადა არასოდეს არ უნდა მიეცეს ორს თვეზედ მეტი *), რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

*) ლუგინინს და იაკოვლევს მარტო ერთი თვე

სესხათ ფულის გატანის დროს უჭერენ გამტანს ამ ფულის სარგებელს, რომელიც ერგება ამხანაგობას დანიშნულს ვადამდის. ფულის სარგებელი გაცემულს ფულზედ უნდა დაინიშნოს თანახმათ ქვემოთ მოყვანილის მოსაზრებისა. ამხანაგობამ უეჭველათ იმაზედ მეტი სარგებელი უნდა დააწესოს თავის ფულზედ, ვიდრემ თითონ აძლევს იმ პირთ, რომლისგანაც თითონ უსესხნია ფული, და ეს სარგებელი იმდენათ მეტი მაინც უნდა იყვეს, რომ ეს მეტი რაც შემოვა, გაუწვდეს ამხანაგობის სამმართველო ხარჯს, ეროს მზადი თავნის შერდგენას და ამხანაგობასაც რამე მოგება დარჩეს. თავდაპირველადვე ძნელია გადაწყვეტა, რომ ამ ანგარიშით ესა და ეს მეტი სარგებელი უნდა დაიდოს ნასესხს ფულზედაო, ვიდრემ თვით გამოცდილება არ უჩვენებს, რამდენი უნდა იყვეს ეს სარგებელი, რომ არც ამხანაგობამ იზარალოს და არც მსესხებელთ დაუმძიმდეთ მის მოცემა. ჩვენ როჟდესტვენსკის ბანკის მაგალითით ვდებთ თუმანზედ თვეში ორს შაურს. რასაკვირველია წესდების შერდგენის დროს ამხანაგობამ

---

აქვთ მოხსენებული, მაგრამ ჩვენ აქ ორი თვე მოვიხსენიეთ, რომ უფრო შეღავათი მიეცეს ფულის გამტანს, თუმცა ეს სხვა ამხანაგთათვის, რომელნიც ფულს მისაღებს არიან, იქნება სამძიმო.

ა. ფურ.

თჳვად უნდა მოსაზრონ ეს ზომა იმაზედ, თუ რა სარგებელს აძლევს ის თავის ნასესხებს ფულში. ეს გადაწყვეტილი სარგებელი უნდა იყვეს უთუოთ შეტანილი წესდებაში და შემდეგ, რაკი ამხანაგობა შეეჩვევა საქმესა და გამოცდილება უჩვენებს თვით ყოველ რიგს გარემოებას, შეუძლიან შესცვალონ ეს სარგებლის რაოდენობაც.

ამასთან, რაც შეეხება ფულის სესხათ მიცემას, თქმა აღარ უნდა, რომ ვისაც უნდა ფულის გატანა, იმას შეუძლიან, თუ არ უჭირს, იმაზედ ნაკლები ფულიც გაიტანოს, რომელიც არის გადაწყვეტილი უმაღლეს ზომათ, და იმაზედ მოკლე ხნითაც გაიტანოს, რა ვადაც არის უმაღლეს ვადათ დადებული. ეს ვადა და ფულის უკანასკნელი ზომა იმიტომ არის მოხსენებული, რომ ამაზედ დიდის ხნობით და იმაზედ მეტს ფულს ვერავინ მიიღებს, დავისაც უფრო მოკლე ხნობით უნდა და ნაკლები, რასაკვირველია, ეს არავის აღეკრძალვის და არავის ამის დაშლა არ შეუძლიან.

## VI

### სესხათ გატანილი ფულის პასუხის გება. (обезпеченіе ссудъ)

ფული ეძლევა სესხათ იმ პირთ, რომელნიც წარმოადგენენ რასმე ღონისძიებას ამ ფულის პასუხის საგებლათ, რომ არ იყვეს საფიქრებელი ამ ფულის დაკარგვა. ვისაც სამონაწილო ფული რამე აქვს ამხანაგობაში შეტანილი, ამ ფულის ზომა ფულს თუ ითხოვს სესხათა, მაშინ ფულის პასუხის გების წარმოუდგენელათ მიეცემა ესეოდენი ფული; თუ მეტს მოინდომებს ამაზედ, მაშინ ამ მეტს ფულში უნდა წარმოადგინოს თავდებები. თავდებები იმდენი მაინც უნდა იყვეს, რომ თითოს თავის წილათ ამ თავდებობაში არ შეხვდეს იმ ფულის ნახევარზედ მეტი, რომელიც ამას ეკუთვნის თავის წილათ სესხის უმაღლესის ზომიდამ. თავდებნი უნდა უთუოდ იყვნენ ამხანაგობაში მონაწილე პირნი. აქ იქნება ზოგს არ მოუვიდეს თავში და ჩვენი აზრების წინააღმდეგათ ეჩვენოს ისა, რომ ფულს სესხათ თითო პირს თავისთვის რვა თუმანზედ მეტს არ ანდობს ამხანაგობა და იმის თავდებობას კი იღებს სხვა პირისათვის, რვა თუმანს გარდა, რომელიც

ამას წაღებული აქვს ან შეუძლიან წაიღოს, კიდევ სხვა ოთხს თუმანშიო. ამას ჩვენ აუღხნით მკითხველსა. ამხანაგობას აქ თავის ფულის პასუხის მგებლათ აქვს მიღებული მსესხებლის ქონება კი არა, მისი პირადი ღირსება. ამხანაგობა აძლევს ფულს კაცს, და არა ქონებას. ქონების პატრონს კაცს სხვაგანაც ყველგან გზა გახსნილი აქვს. ამხანაგობა არის დარდგენილი უღონისძიებო კაცისთვის. ამისთვის ის აძლევს ფულს პირსა, რადგან აქ პასუხის მგებელი მარტო ამ კაცის პირადი ღირსებაა, და ეს კაცი ფულის გადასხდამდის შეიძლება, რომ მიეცეს რამე ისეთს ვნებას, რომ ვეღარ შესძლოს ამხანაგობისგნით წაღებულს ფულში პასუხის გება, ამის გამო საჭიროა მისგნით თავდებნი, რომელიც ამის მაგიერათ პასუხს გასცემენ ამისგნით ნასესხ ფულში. რაც შეეხება იმასა, რომ ვდებთ კანონათ, რომ თითო ამხანაგობაში მონაწილე პირს დადებულს ფულზედ მეტის თავდებობა არ შეეძლოს, ეგ იმიტომ, რომ თითომ მათგანმა არ იკისროს იმოდენის თავდებობა, რომლისაც გამღოლა მას არ შეეძლოს და მით არ მისცეს ვნება თვით ამხანაგობასაც, რომ მის თავდებობას ჰქონდეს ნამდვილი მნიშვნელობა ამხანაგობისთვის. ამის გამო წესდებაში უნდა შეიტანოს კანონათ, რომ თითო მხანაგობაში მონაწილე პირს, რომდენსაც ის დასდგომია

ვისმე სრულს ნება მიცემულს თავდებობის ფულში თავ-
დებათ, მას აღარ შეეძლოს თავდებობა, ვიდრემ არ გა-
თავდება მისი ვადა, ესე იგი, მისამ არ შემოკა მის თავ-
ნადები ფული. როგორც სხვაფრივ, ისე თავდებობაშიაც,
რაც გინდა შეძლების კაცი იყოს, რაც გინდა ღარიბი
კაცი იყოს, თავდებობის ნება არ უნდა მიეცეს დადე-
ბულს ზომაზედ მეტი ამხანაგობაში. საამხანაგო საქმე-
ბის წინაშე, რა კი არის ამხანაგათ მიღებული, ყველანი
არიან თანასწორნი. თავდებმა ფულის გატანის დროს,
უნდა მისცეს ამხანაგობას თავდებობის ბარათი იმ ფორ-
მით, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი.

საკვირველი არ არის, რომ ამ ჩვენს აზრშიაც გამოჩნ-
დეს რამე ნაკლებულება გამოცდილების შემდეგ; ამის
გამო ამხანაგობას ყოველთვის, შემდეგ გამოცდილებისა,
შეუძლიან გაასწოროს ეს შეცთომილებანი.

თუმცა ბევრგან არის მიღებული სესხათ გაცემულს
ფულში გირავნობის მიღება, მაგრამ ჩვენ სრულიად
ამის წინაამღდეგნი ვართ, რადგან ეს მეტი აბრუა ამხა-
ნაგობისთვის და მეტს ხარჯსა და შრომასაც აძლევს
ამხანაგობასა; ამისგამო სრულიად საკმაო ფულის სეს-
ხათ მიცემისთვის ვსცნობს მხოლოდ თავდებობას და სა-
მონაწილოთ შემოტანილი ფული.

## VII

## მოგების განაწილება.

მოგების განაწილებამ ისე ცხადათ არის გამოყვანი-
ლი მოყვანილს წესდების მუხლებში, რომ ამაზედ რამე
ლაპარაკს ჩვენ საჭიროთ აღარა ვრაცხავთ. ჩვენ მხოლოდ
გვინდა მოვაგონოთ მკითხველებს, რომ ამ დაწყობილების
ღირსება და დანიშნულება მოგების გაყოფა კი არ არის;
უნდა ყველამ კარგათ დაიხსოვროს და ჩაიტანოს გულში,
რომ ამის დანიშნულება არის მცირე სარგებლით და ხუმ-
ბუქის პირობებით ფულისა სესხათ მოვცა, ყველას გამა-
რთვა. ამისგამო, უკეთუ მოგებამ მეტათ იმატა, ეს იმის
ნიშანია, რომ ამხანაგობამ უნდა მოუკლოს სარგებელსა,
ესე იგი, უნდა იმ პირთ, ვინც ამათგან სესხულობენ,
უფრო ნაკლები სარგებელი გამოართვან, ვიდრე აქამდი-
სინ ურთმევიათ. გარდა იმგვარათ მოგების გაყოფისა,
რომელსაც უჩვენებთ ჩვენ წესდებაში, შეიძლება კიდევ
სხვა რიგი განაწილებაც მოგებისა, ესე იგი შეიძლება,
რომ მოგება ყველა წევრთ თანასწორათ გაიყონ. ამგვარი
განაწილება უფრო სამართლიანიც არის ჩვენსჯერით მოყ-
ვანილზედ, მით რომა ყველანი თანასწორს პასუხის გე-
ბაში არიან საამხანაგო საქმის წარმოების შესახებ. ჩვე-

ნხვნით მოყვანილი წესი, მოგების განაწილების შესახებ, ჩვენ მითი ვამჯობნებთ, რომ ამითი ვიმოდოვნებთ, რომ უფრო თავთავის დროზედ შემოიტანენ წევრნი სამონაწილო ფულსა, რადგან შემოტანილს სამონაწილო ფულის რაოდენობაზედ არის დამოკიდებული რაოდენობაცა მოგების მიღებისა. უეჭველია, რომ ამ ფულის მოგების მისაღებათ უნდა იყვეს რაოდენიმე დრო დანიშნული შემდეგ იმისა, როდესაც ამხანაგობათ საზოგადო ყრილობა ანგარიშებს ასწორებს დაამტკიცებს, თორემ შეიძლება, რომ ამ დროს ქასაში არ იყვეს იმდენი ფული, რომ ყველას გახვდეს თავისი მოგება; ამის გარდა ამ ხანში ამხანაგობის საქმის მმართველთ უნდა ჰქონდეთ დრო, რომ გამოიანგარიშონ, ვის რამოდენა მოგება შეხვდება.

---

## VIII

### წევრთა [ანუ მონაწილეთ] შესვლა და წევრობიდამ გამოსვლა.

როდესაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით ამხანაგობის პირველხანათ შედგენაზედ, მაშინ ჩვენ ავწერეთ რა რი-

გი ღირსებაც უნდა ჰქონდეთ პირველათ ამხანაგობის შემდგენთა, რომ შემდეგში არ შეეცვალოს გზას და აზრით ამ კეთილ დაწყობილებას. ჩვენ უნდა კიდევ მოვაგონოთ მკითხველსა, რომ პირველ ჟამათ ამხანაგობის შემდგენს პირებზედ არის დამოკიდებული ისიცა, რა როგორი პირნიც უნდა შევიდნენ შემდეგ ამხანაგობაში, რომელზედაც იქნება დამოკიდებული კარგათ საქმის წაყვანა. აქ პირველ ამხანაგობის შემდგენთ დიდი გარჩევა ჰმართებთ იმ პირებისა, რომელთაც მიღება ამხანაგობაში არის ამათზედ დამოკიდებული. უნდა კარგათ ახსოვდეთ ამათა, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც ესენი მიიღებენ ამხანაგათ, იქნებიან იმავე უფლების პატრონნი ამხანაგობაში, როგორც სხვა ყველანი, რომლისგამოც ამათ ექნებათ თანასწორი უფლება ფულის სესხათ გატანისაც და სხვის თავდებათ დგომისაც, მაშასადამე თუ ესენი გამოდგნენ ურიგო კაცნი და გაუგებარნი საერთო სარგებლობისა, თავის უფლებაებით ვნებას მისცემენ ამხანაგობას და შეიძლება, რომ მით ამხანაგობის საქმე სრულიადაც მოიშალოს. ამისგამო პირველ შემდგენთ უნდა ჰქონდეთ სახეში პირადი ღირსება იმ პირთა, რომელთაც ჰსურთ ამხანაგათ შემოსვლა. თუ პირათ კარგი ღირსების კაცია, არ უნდა უგდონ იმის სიღარიბეს ყური, პირიქით მდიდარით უფროც უნდა ერიდებოდეს ამხანაგობა, რათგან

მდიდრებში უფრო მცირათ იპოვება რიგიანი პირადი ღირსება და ამასთან მდიდარი კაცი თუ დიდს მოგებას არა ჰხედავს, მცირე მოგებას რიგიანათ ყურს არ ათხოვებს, და ამგვარს ამხანაგობაში, რომელსაც ჩვენ უწერთ, არის ყველაზედ საჭირო ესა, რომ ყველა მონაწილე სასტიკათ და ბეჯითათ უგდებდეს საამხანაგო საქმეებს ყურსა. ამისგამო პირველ ამხანაგობის შემადგენნი უთუოთ უნდა კარგათ იცნობდენ იმ პირთა, რომელნიც თხოულობენ ამხანაგობაში შესვლას, ან უნდა შეჰკრიბონ ამათზედ სრული და საკმაო ცნობანი, და მერე ისე მიიღონ. კიდევ უნდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ ეს დაწყობილება არის ამხანაგობა პირთა და არა ფულთა, რომ აქ მონაწილე კაცნი უნდა ერთმანერთს ესმარებოდნენ და პასუხს სცემდენ თავისის პირადის ღირსებით და არა შეძლებით. რაკი ეს ამხანაგობა არის დამოკიდებული ერთმანერთის ცნობაზედ, ამის გამო ამისი დიდს ადგილზედ გავრცელება შეუძლებელია. კარგათ იცნობენ ერთმანერთს მხოლოდ მახლობელნი, მაშასადამე თითოსოფელს, ანუ რამდენსამე ერთმანერთზედ მახლობელს სოფლებს გარე ეს ამხანაგობა ვერ გავრცელდება. ახალი წევრი მიიღება საზოგადო ამხანაგობათ შეყრილობის გადაწყვეტილობით. ამაში სამმართველოს საქმე არ აქვს. შეიძლება, თუ ერთხელ უარი უთხრეს ვისმე ამხანაგობა-

ში მიღებაზედ, რომ კვლავ მიიღონ, თუ ითხოვს ისა და ამხანაგობათა შეყრილობა გადასწყვეტავს ამის მიღებას.

ამხანაგობაში ქალებიც მიიღებიან, რომელთაც ყველაფერში ისეთივე უფლება აქვთ, როგორც კაცებსა. ქალების მიღება მით უფრო საჭიროა, რომ ხშირათ იმისთანა მუშაობის დრო მოდის, რომ მამაკაცებს არა აქვთ მოცალეება საქმის ყურის გდებისა, და ქალები კი ამ ჟამათ არიან შიგა და შიგ მაინც თავისუფალნი. მაშასადამე შეუძლიანთ კიდეც ყურადღება.

## ამხანაგობიდამ გამოსვლა.

ამხანაგობიდამ გამოსვლა ორნაირია, ერთი თავისთავათ გამოსვლა, მეორე გამორიცხვა.

გამორიცხვის მიზეზნი არიან პირველი ისა, თუ წესდებით დადებული სამონაწილო ფული არ შემოაქვთ ვადაზედ, მეორე, თუ სესხათ გატანილს ფულს არ შემოიტანენ. აქ უნდა გარჩევა იყვეს იმ პირებში, რომელთაც არ შემოაქვთ სრულიად, იმ პირებისაგან, რომელთაც არ შემოაქვთ თავ თავის დროზედ. ის პირი, რომელიც არის გამორიცხული იმიტომ, რომ არ შემოჰქონდა თავთავის დროზედ ნასესხი ფული, შეიძლება მერე საზოგადო შე-

ურიდობაში ისევ მალე მიიღოს, რათგან ამგვარი უთადარიგობა დაუჩვევლობისგამო ბევრს მოუსდება და მეორე, რაცა ჭკუას ისწავლის, გაფრთხილდება და ეცდება ყოველთვის ვადაზედ ვალის გადახდას. მაგრამ იმ პირს კი უფრო სასტიკათ უნდა მოექცეს, რომელიც არის გამორიცხული ამიტომ, რომ სრულიად არ შემოუტანია ფული, ამისგამო არ იქნება ურიგო, რომ ამგვარს პირზედ გადაწყვეტილი იყვეს, რომ ერთს ანუ ორს წელიწადზედ ადრე აღარ შეეძლოს ამხანაგობას ამის ხელმეორეთ წევრათ მიღება. გარდა ამისა, ამათ უნდა გადახდეთ ყოველი ხარჯი და ზარალი, რაც ამათ მოქმედებით მოსვლია ამხანაგობას. თქმა აღარ უნდა, რომ ამგვარს პირებშიაც, რომელთაც არ შემოუტანიათ სრულიად ფული, უნდა იყვეს გარჩევა, რათგან ზოგს არ შემოაქვს მარტო ავ-კაცობით და ზოგს იმისთანა ზარალი მოსდის, რომ მართლაცა და არა ჰქონია შეძლება ფულის შემოტანისა, რომელთაც არ უნდა მოეპყრან ასე სასტიკათ, როდესაც აწონვენ ამათი მოქმედების მიზეზს.

თავის ნებით გამოსვლა არავის არ აეკრძალვის და რა დროსაც უნდა გავლენ ამხანაგობიდამ. მაგრამ როგორც თავის თავათ გამოსულნი, ეგრეთვე გამორიცხულნი წევრნი არიან რომელიმე ხნობით პასუხის მგებელნი წინაშენ იმ საამხანაგო საქმეებისა, რომელიც ამათ შეხ-

ვლის დროს უკისრიათ ან რომელიც ამათ წევრათ უოვ-ნობის დროს დაუწერია ამხანაგობას. ეს პასუხის გება, რაღა თქმა უნდა, რომ არ არის სამუდამო, მხოლოდ უნდა იყვეს ხანგრძლივი, მინამ სხვა ამის სამაგიერო წევრი არ შემოვა და თავის შემოსვლით არ შეავსებს რიცხვს, რომელსაც უკისრია ურთიერთთა თავდებობა წინაშე გარეშე მოვალისა.

ამ ვალის დანიშვნაში უნდა იყვეს მოხსენიებული, რომ გამოსულს ანუ გამორიცხულს წევრს გადახდეს თავისი სვედრი ზარალი, რომელიც ამხანაგობას მოსვლია ამის ამხანაგობაში მყოფობის დროს. ჩვენ ამგვარი პასუხის გების ვადათ დავნიშნეთ ერთი წელიწადი, მაგრამ შეიძლება, რომ ეს ვადა მეტიც დაინიშნოს, ნაკლებიცა. მაინცა და მაინც ეს ვადა წლის ვადის ანგარიშზედ ადრე არ უნდა თავდებოდეს, რადგან მაშინა ჩნდება ზარალიცა.

უკეთუ თავის თავათ გამოსული ანუ სამონაწილო ფულის შემოუტანლობის გამო გამორიცხული წევრი გამოსულან ამხანაგობიდამ ექვსი თვით მაინც არის ადრე წლის ანგარიშების გასწორებისა, მაშინ ამ წლის ანგარიშის გასწორების დროს ეძლევათ იმათ თავისი შემოტანილი სამონაწილო ფული; უკეთუ ამათის გამოსვლიდამ წლის ანგარიშამდის არის ექვს თვეზედ ნაკლები დრო დარჩენილი, მაშინ მიიღებენ ამ ფულს შემდეგს ანგარი-

შის დროს. ეს იმიტომ უნდა დაწესდეს, რომ ამხანაგობას არ დაუმძიმოს ფულის უდროვოთ დროთ კასსიდამ გახვლამ.

---

## IX

## ამხანაგობის საქმის წარმოება.

ამხანაგობის საქმეს აწარმოებენ: საზოგადო ყრილობა, შემმოწმებელი რჩევა (**повѣрочный совѣтъ**) და მმართველობა.

### საზოგადო ყრილობა.

რათგან ყველა ამხანაგობაში მონაწილე არის პასუხის მგებელი ყოველ რიგის თავის შეძლებით წინაშენ საამხანაგო მოვალეთა, ამის გამო მთლათ ამხანაგობის ყრილობას ეკუთვნის უმთავრესი უფლება და განმგეობა ამხანაგობის საქმეებში.

ყოველს ამხანაგობის წევრს, კაცა თუ დედა-კაცი, ყველას თითო ხმა აქვს. არავის არ შეუძლიან, რომ თავისი ხმა სხვა ვისმე მიანდოს, რათგან ამითი შეიძლება, რომ

შიგა და შიგ თითო თითოს ოროლი სამსამი ხმა მიეცეს და მით იგდონ ძალა ხელში. რადგან აქ ყველაფერში თანასწორობაა, ეს თანასწორობა არაფერში არ უნდა მოიშალოს, რომ საქმეს მით ვნება არ მიეცეს, და რომელიც არის საფუძველი ამ დაწყობილებისა.

საზოგადო შეყრილობის გადაწყვეტილებაზედ არის დამოკიდებული დანიშვნა და თხოვნა მმართებლობის პირთა და შემმოწმებელი რჩევის პირთა; ამ ყრილობაზედ არის დამოკიდებული მიღება ახალთა წევრთა ანუ მონაწილე პირთა, და ამანვე უნდა გადაწყვიტოს ყოველი საქმე და გაარჩიოს რაც შეეხება კანონს ანუ ფასლის მართვას. ცხადი საქმეა, რომ საზოგადო ყრილობამ წესის დასაცველათ შეყრილობის დროს უნდა ამოირჩიოს თავმჯდომარე; მაგრამ, არამცა და არამც, თავმჯდომარეთ არ უნდა ამოირჩიონ არავინ იმ პირთაგანი, რომელნიც ურევიან მმართველობაში, რადგან მმართველობამ უნდა მისცეს და გასწმინდოს ანგარიში წინაშენ საზოგადო ყრილობისა, თორემ მაშინ ეს პირი ეცდება ისე წაიყვანოს საქმე, რომ დაჰფაროს თავისი და თავისი ამხანაგობის ცუდი საქმენი.

თავმჯდომარე უნდა უგდებდეს ყურს, რომ სჯა და კენჭის ყრა წესზედ მოდიოდეს ყოველს დაწყობილს და მისაღებს საქმეზედ. იმან უნდა კენჭის საყრელათ ისეთ

ნაირათ გამოიყვანოს გადასაწყვეტი კითხვანი, რომ ამ კითხვებში ცხადათ გამოდიოდეს ის აზრი, რა აზრზედაც დადგნენ სჯის დროს, ის უნდა ადევნებდეს ყურს რიგზედ კენჭის ყრას და აცნობებდეს იმას, რაც კენჭმა გადასწყვიტა.

ეს საზოგადო ურილობა დიდათა სწრთვნის და გასწავლის ხალხსა. რაკი სჯა აქვთ და ერევთან სჯაში, ეს სჯა ასწავლის და უხსნის ამათ თან და თან ამხანაგობის აზრსა და ურთიერთთა კავშირის სარგებლობასა; სჯა საქმის მართვაზედ აჩვევთ თავის თავზედ იმედსა და ურთი ერთის დამოკიდებულებასა; ამითი იგებენ თავის უფლებას და მოვალეობას. რასაც აქ იგებენ, სწავლობენ და იხსნიან კანონებს, მერე ეს ცოდნა და კანონების განვითარება გადააქვთ სხვა საქმეებშიაც და ყველგან იდვილებენ საქმეს და მოქმედობენ გაბედვით და თავის დაიმედებით. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარს ღირსებას მიაღწევს მხოლოდ ისა, ვინც დარჩება დიდს ხანს ამხანაგობაში და გაჰყვება ამხანაგობის საქმესა.

ამხანაგობის პირველ დაწყობის დროს, მამეტებულს ნაწილს ამხანაგობის წევრთ არ ეყურებათ მნიშვნელობა და აზრი ამ ამხანაგობისა; ისინი ამაში ჰხედამენ მხოლოდ იმგვარს საქმეს, რომელისგანაც ამათ შეუძლიანთ იაფათ ფულის სესხება.

ამგვარი წევრები ყოვლის ღონისძიებითა ჰსცდილობენ, რომ მოიცვალონ როგორმე თავიდამ სამონაწილეო ფულის შემოტანა; ერიდებიან საზოგადო ყრილობაში მონაწილეობის მიღებას, და ერთის სიტყვით ერიდებიან ყოველს თავის მოვალეობას, რომელიც მოსდევს ამხანაგობაში მონაწილეობას. ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი იმ პირთა, რომელნიც დაიწყებენ ამხანაგობის შერდგენას, არის ისა, რომ ყოვლის ღონისძიებით ეცადოს შეაჩვიოს ამხანაგობაში მონაწილე პირი თავის მოვალეობას, შეაყვაროს ამხანაგობის საქმის ყურის გდება და დაარწმუნოს, რომ იმათივე საკუთარი სარგებლობისათვის არის საჭირო, რომ ყოველს საამხანაგო საქმეს უგდებდნენ ყურსა და ადევნებდნენ თვალსა. რადგანაც ძნელი საფიქრებელია, რომ ამხანაგობის მამეტებულმა ნაწილმა სრულიად მოიყაროს თავი საზოგადო შეყრილობაში, ამისგამო წესდებაში ჩვენ დავდეთ რომ უკეთუ ამხანაგობის მეხუთედმა მაინც არის შეიყარა თავი საზოგადო ყრილობაში, იმათი გადაწყვეტილება არის საკმაო საზოგადო საქმისათვის. საზოგადო ყრილობა უნდა იკრიბებოდეს იმისთანა დროს, როდესაც უფრო დაგულებულია ხალხი სოფელში და თავისუფალია. ამასთან უნდა იკრიბებოდენ იქა, სადაც არის ამხანაგობის სამმართველო გამართული. ამისგამო საზოგადო შეყრილობა უნდა იყვეს დანიშნული ან კვირაობით

ან ისე სხვა დღესასწაულს დღეებში. საზოგადო შეყრილობის დაძახება უნდა ორი კვირის წინათ გამოაცხადოს საამხანაგო კასსის სამყოფში, სადაც ხშირად იყრებიან ფულის შემტანი გამომტანნი; და უნდა გამოუცხადონ კვირა დღეს, ან რამე დღესასწაულს დღეს ეკლესიიდამ გამოსვლის დროსა. თუმცა დიდი გასამწრთვნელო მნიშვნელობა აქვს საზოგადო შეყრილობას, მაგრამ მაინც და მაინც ხშირად ამ ყრილობის შერდგენა არ არის საჭირო, რომ მით არ მოაბეზროს თავი და არც მოაცდინოს ხალხი საქმესა. არც ძალიან ჭვიან ვარგა ეს შეყრილობა, რათგან დიდს ხანს მოუხდებათ მოცდა იმ პირთა, რომელთაცა ჰსურთ ამხანაგობაში შესვლა. ამისგამო ჩვენ ვრაცხთ საჭიროთა, რომ შეყრილობის დანიშვნა დავსდოთ წელიწადში ოთხჯერ, ესე იგი, სამს თვეში ერთხელ. მაგრამ, ვინიცობაა რამე იმისთანა მოულოდნელი საქმე მოხდა, რომელიც ჰსაჭიროებს საზოგადო შეყრილობის გადაწყვეტას, ან გარჩევას, მაშინ შეიძლება ამის გარეშე კიდევ შეკრებას საჭირო დროს. მაინცა და მაინც რომ უსწორ მასწორად არ დაუძახონ საზოგადო შეყრილობას, ჩვენ წესდებაში ჰქვს თითქმის ყოველი გარემოებს ნიშანდობლივ ნაჩვენები რა შემთხვევაშიაც უნდა დაუძახონ უეცარს (черезвычаинное) ყრილობას. ამასთან ამ წესდებაში არის ჩამოთვლილი ყოველი ის საქმენი

რომელნიც შეეხებიან საზოგადო შეყრილობას; ჩვენ აქ მხოლოდ იმას დაუმატებთ, რომ ურიგოს არ იზამს საზოგადო ყრილობა, რომ, შემდეგ წლის ანგარიშების დამტკიცებისა, დაუნიშნონ მმართველობის პირთ, გარდა იმ ჯამაგირისა, რომელსაც ისინი იღებენ, კიდევ რომელიმე ნაწილი წმინდა მოგებიდამ: ამითი უფრო შეადუბინებენ მოღვაწეობაზედ თავსა. რასაც კი გადასწყვეტს და დასდებს საზოგადო ყრილობა, უნდა ჩაიწეროს ჟურნალში (დღიურს წიგნში) და მოაწერონ ამაზედ ხელი ყველა წერის მცოდნეთა, რომელნიც აქ არიან. როდესაც ამხანაგობა ჰნახავს საჭიროთ, რომ შესცვალოს რომელიმე მუხლი წესდებისა, მაშინ ამან უნდა შეადგინოს მუხლათ თავისი აზრი, შეიტანოს წესდებაში, მოაწეროს ყველამ ხელი და მოხსენებული ფორმით წარუდგინოს ღუბერნატორს, რომ იმან წარადგინოს ეს დასამტკიცებლათ თავის ადგილას.

თუმცა ჩვენ შევიტანეთ წესდებაში, რომ საზოგადო შეყრილობაში თუ მეხუთედიც არის შეიყარა, საკმაოა საქმეების გადასაწყვეტათაო; მაგრამ ზოგს შემთხვევაში მეხუთედი საკმაო არ არის. მაგალითათ წესდების შესაცვლელათ, ამხანაგობის საქმეების მოსასპობლათ და სხვა ამგვარებისთვის საკმაო არ არის ამხანაგობის მეხუთედის შეყრილობა. ამისგამო ჩვენ უჩვენეთ წესდებაში

ის გარემოებანი, რომელთა გადასაწყვეტათაც მომეტებული ნაწილი წევრთა უთუოთ უნდა იყვნენ შეყრილნი.

## შ ე მ მ ო წ მ ე ბ ე ლ ი რ ჩ ე ვ ა (ПОВѢРОЧНЫЙ СОВѢТЪ.)

რადგან საზოგადო ყრილობა იკრიბება მხოლოდ წელიწადში ოთხჯერ, რომლისგამოც არ შეუძლიან ამ ყრილობას ნიადაგ ყურის გდება მმართველობის მოქმედებისა, გარდა ამისა, რადგან ბევრს ხალხს ერთათ შეყრილს არ შეუძლიან სამმართველო წიგნების გაჩხრეკა და შემოწმება, ამისგამო უნდა დაინიშნოს საკუთრივ შემმოწმებელი რჩევა. შემმოწმებელი რჩევის მოვალეობა არის, რომ უგდოს ყური საქმის წარმოებას, და უკეთუ შენიშნავს რამე უწესოებას მმართველობის მოქმედებაში, მაშინვე დაუძახოს უეცარს საზოგადო ყრილობას, რომ მიიღოს ზომიერება ამ უწესოების ამოსაკვეთათ.

შემმოწმებელი რჩევა არ უნდა იყვეს შემდგარი ბევრ პირთაგან, სამი კაცი სრულიად საკმაოა ამ საქმეში, და ამათი მიზიდვაც ძალიან ძნელია პირველ ჟამათ, რომ ამათ წესიერათ შეასრულონ თავისი მოვალეობა. ჩვენის აზრით შეიძლება, რომ შემმოწმებელმა რჩევამ მიანდოს ერთ-ერთს თავის რჩევაში ამორჩეულს ამხანაგთაგანს, რომ იმან შეამოწმოს ხოლმე კასსა და წიგნები, და როდესაც

ჭნახავს რასმე უწესოებას, მაშინვე აცნობოს ეს თავის ამხანაგებს. რაკი ყველა რჩევის წევრნიც დარწმუნდებიან ამ უწესოებაზედ, მაშინ იმათ უნდა მიჰმართონ იმ ზომიერებას, რომელიც უწერიათ წესდებაში და რაც საჭირო იქნება ამ შემთხვევაში. მაგრამ ცალკე თითო რჩევის პირს არ შეუძლიან არავითარი ზომიერების მიღება, თუ ყველა რჩევის პირნი არ ურევიან შიგა; უკეთუ თანხმობა არ მოუხდათ ყველას ერთათა, მაშინ საქმე ისე უნდა გადასწყდეს, როგორც მომეტებული ნაწილი იტყვის. ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ კასსა და წიგნები უნდა შემოწმდნენ კვირეში ერთხელ, რომ ყოველი შეცდომილებაჲ ანუ უწესოება დროით გასწორდეს. შემმოწმებელი რჩევის წევრებს არ იქნება ურიგო, რომ დაენიშნოს რამე ჯამაგირივით. მაგრამ ეს ფული უნდა ეძლიოთ ამათ ამხანაგობის წმინდა მოგებიდამ წლის ბოლოსა, როდესაც ყველა ანგარიშები გაიწმინდება.

## მმართველობა.

მმართველობაში ორი კაცის მეტი საჭირო არ არის; ერთი უნდა იყვეს კასსირი ანუ დასლიდარი, მეორე გამგებელი. რაც მმართველობის ხელთ უნდა იყვეს, ყველა გარკვევით არის მოხსენებული წესდებაში. ამ წესდების

ქაღით მმართველობის პირთ თავის თავში არა საქმის დაჭერა და არა გადაწყვეტილება არ შეუძლიანთ, ისინი მხოლოდ აღსრულებენ საზოგადო ყრილობის გადაწყვეტილებას და დაწყობილობას. ამ მმართველობის განსაკუთრებითი განგეობის ხელთ არის მიცემა იმ ფულისა, რომელიც ეკუთვნით მოვალეებს.

ამხანაგობის საქმეების საწარმოებლათ უნდა იყვეს კვირეში ერთი დღე. ეს დღეც უნდა იყვეს კვირა, რომ ხალხი იყვეს თავისუფალი. საამხანაგო კასსა უნდა იყვეს რამე სასოფლო შენობაში. წირვის უკან უნდა გაიხსნას კასსა და საღამომდის ღია იყვეს. აქ უნდა იყვნენ მმართველობის გამგებელი, კასსირი და მოანგარიშე (Бухгалтеръ), რომელიც მმართველობას უნდა ჰყვანდეს ქირით დაჭერილი. ესენი აწარმოებენ საქმეს გამგებლის ხელმძღვანელობით. აქ იწერება წიგნში ყოველი შესავალ გასავალი. წირვის გამოსვლიდამ საღამოს ლოცვამდის უნდა შესრულდეს ყოველი საქმის წარმოება. არ უნდა ჰქონდეს არავის ნება, რომ ან ფულის შესატანათ ან გამოსატანათ მიდიოდეს ვინმე მმართველობის პირთა სახლებში, და ამასთან არ უნდა არც შეჰქონდეთ არც გაჰქონდეთ ფული თუ არ კვირეობით, რადგან ეს ძალიან სწეწავს საქმეს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუნდა თვით მმართველობის პირთ არ მოინდომონ რამე უწესოთ მო-

სმარებსა შემოტანილის და გატანილის ფულისა, შეიძლება იმათ დაავიწყდეთ შემოტანილი ფულის წიგნში ჩაწერა და შემდეგ მოსდება ამაზედ აყალ მაყალი და არეულობა; და ამას მოსდევს საქმეზედ გულის აცრუებაცა და ნდობის დაკარგვაც, და სხვა ამგვარები.

რაღა თქმა უნდა, რომ ამხანაგობაში ყველაზედ მნელი მოვალეობა ადევთ კასსირს და გამგებელს, ამისგამო ამათ საკმაო ჯამაგირი ანუ ქირა თუ არ დაენიშნათ, არავინ იკისრებ ამ საქმეს. ესენი უნდა იყვნენ უთუოთ ამხანაგობის პირთაგან. პირველს წელიწადს ძნელია საკმაო ჯამაგირის დანიშვნა, და ამისგამო უნდა იყვეს გადაწყვეტილი, რომ ამათ შემდეგში კარგა საკმაოთ მოემატებათ ეს ჯამაგირი, რომლისაც ამხანაგობის მოგებაც იმატებს, რომ ამითი მაინც დაადებინონ საქმეზედ გული და აკისრებინონ თვით საქმე. ჩვენის აზრით ისა სჯობს, რომ ჯამაგირი ცოტა დაენიშნოთ ამათა და მის მაგივრათ იყვეს გადაწყვეტილი, რომ წლის ბოლოს ქილიოთ ამათ წმინდა მოგებიდამ რომელიმე ნაწილი. ეს გადაკვეთილი წილი უნდა იყვეს მუდმივი, რომ რამდენიც თვით მოგებამ იმატოს, იმდენი ემატოს მმართველობის პირთ მისაცემსაც. მაშინ, რაკი ამათი მოგებაც იქნება კარგათ საქმის წასვლა, ესენი უფრო ეცდებიან წესიერათ საქმის წაყვანას და ამხანაგობის მოგებას, რომ ამითი თითონაც

უფრო მოიგონ. მარტო გადაკვეთილი ჯამაგირი რომ ჰქონდეთ დანიშნული, მაშინ კი აღარ ეცდებიან ასე საქმის წაყვანას, რადგან იფიქრებენ, რომ ეს ჯამაგირი ხოზვაქვს და მეტი არ მოგვეცემა, მაშ რაზედ გამოვიდოთ თავსაო. მაინცა და მაინც არ უნდა დაჰზოგონ არაფერი ამათთვის, რადგან ამათზედ ბევრია დამოკიდებული.

ჩვენ ურჩევთ, რომ სამმართველოთ არ ამოირჩიონ არავინ სოფლის მოხელე პირთაგანი, რადგან ისინი არიან უფროსობასა და ბრძანებას დაჩვეულნი და თავის ჩვეულებას აქაც მოინდომებენ. ამგვარი ქცევა ამხანაგობაში არამცთუ არ გამოდგება, არამედ ავნებს, რადგან ამხანაგობა არის დამყარებული თანასწორობასა, ძმობასა და ერთიერთობაზედ. უამათოთ ის ჰკარგავს სრულიად თავის მნიშვნელობას. ამას გარდა ეს სოფლის მოხელენი რაკი არიან სოფლის მეუფროსენი, მოინდომებენ ბატონობას და გაიყვანენ კიდეც თავის სიტყვას, რადგან თავის სოფლის უფროსობით ბევრს შეაშინებენ და მოაქმედებინებენ იმას, რაც თითონ ჰსურთ. მაშინ ამხანაგობის საქმეც წაგებულია.

რადგან შესაძლებელია, რომ მმართველობაში ამორჩეულთ პირთ იმდენათ არ იცოდნენ წიგ[illegible], რომ შეეძლოთ წიგნების გაძღოლა და ანგარიში, ამის გამო იმათ შეუძლიანთ, რომ დაიჭირონ მოანგარიშე კაცი, რომელ-

სჳც ქსეები ყველა კარგათ შეეძლოს. ეს მოანგარიშე შეიძლება, რომ არ იყვეს თითონ ამხანაგობაში მონაწილე და იყვეს ვინმე უცხო კაცი, რადგან ამხანაგობას არ ექნება იმოდენა შეძლება, რომ თავის საკუთარი ღონისძიებით დაიჭიროს განსაკუთრებით კაცი, ამისგამო ის უნდა ეცადოს, რომ ამ საქმისათვის დაიჭიროს იმგვარი პირი, რომელიც იქვე იდგეს რამე კიდევ სხვა ხელობაზედაც, რომ ეს საქმე არ იყვეს იმისთვის განსაკუთრებითი საქმე და ამხანაგობიდამ მიღებული ფული იყვეს იმის სხვა ხელობიდამ მიღებული ფულის მისამატი. ამგვარ მოანგარიშე პირათ შეიძლება დაიჭირონ სოფლის შკოლის მასწავლებელი, ანუ უფროსი შეგირდი, თუ კარგათ ეყურება ეს საქმე, ან დიაკვანი და სხვა ამგვარები. მოანგარიშე ანუ ბუხგალტერი, რაკი გაიხსნება კასსა, უნდა სულ იქ იყვეს და სწერდეს შესავალ გასავალს, ყველა ანგარიშები ამან უნდა შეადგინოს, როგორც ყოველდღიური ისე სამისთვისა და წლისა: უნდა სწერდეს ჟურნალებში ამხანაგობათა დაწყობილობას და გადაწყვეტილების; არდგენდეს მიწერმოწერას და სხვა ამათი ჯამაგირის რაოდენობას ჩვენ ახლავე ვერ უჩვენებთ, ეს არის დამოკიდებული გარემოებაზედ, ამისგამო ეს უნდა თითონ ამხანაგობამ მოჰსაზროს და გადასწყვიტოს. მოანგარიშე პირის დამწერი და მის გცევის პასუხის მგებელი არის

მმართველობა; უკეთუ რომელიმე მმართველობის პირს შეუძლიან და თითონ იკისრებს ბუხგალტერობას [მოანგარიშობას), მაშინ ეს უკეთესი და ამას უნდა დაენიშნოს ის ჯამაგირიცა, რაც ეკუთვნოდა ბუხგალტერს, რომ სხვა ვინმე დაეჭირათ.

## X.

## ამხანაგობის საქმეების მოსპობა.

ის გირემოებანი, რომლისგამოც უნდა მოსპოს ამხანაგობის საქმეები ისე ცხადათ არიან აღწერილნი წესდებაში, რომ ჩვენ აქ ამაზედ საჭიროთ აღარა ვრაცხთ ლაპარაკსა, ამისგამო ჩვენ გადავალთ ამხანაგობის ანგარიშობასა და ანგარიშობის საქმეების აღწერაზედ, რომელსაც აქვს ამხანაგობაში დიდი მნიშვნელობა.

## XI.

## ა ნ გ ა რ ი შ ო ბ ა (счетоводство.)

როდესაც ვარდგენდით ანგარიშების ფორმებს, ჩვენ გვქონდა სახეში გერმანიის ამხანაგობაების ანგარიშობის

ფორმები. ჩვენ აქ მხოლოდ უფრო შევამსუბუქეთ და გა-ვაადვილეთ ეს ფორმები გერმანიულს ფორმებთან, რომელშიაც ხელმძღვანელად გამოცდილება გვქონდა როჟდენსტვენსკის ამხანაგობის ფორმებისა. მაგრამ მარტო ეს ერთი მაგალითი არ არის საკმაო, რომ უკეთესი აღარ შერდგებოდეს, ამისგამო ეს ჩვენგნით მოყვანილი ფორმებიც არიან საცდელნი და იმედია, რომ მრავალი სხვა და სხვა გამოცდილება შეამუშავებს საუკეთესო ფორმას, რომელიც სრული იყვეს საჭიროებისამებრ. რიგიანათ წიგნების წარმოება არის უმთავრესი საქმე, რომ კარგათ წავიდეს ამხანაგობის დაწყობილება. უკეთუ ყოველი შესავალ გასავალი დაწვრილებით არ ჩაიწერება ამხანაგობის საანგარიშო წიგნებში, მაშინ შეუძლებელია, რომ შერდგეს ან წლის, ან სამთვეობითი ანგარიშები, მაშასადამე არ შეიძლება, რომ ამხანაგობამ გაიგოს მდგომარეობა თავის საქმეებისა. წიგნების დაწეწვას მისდევს ამხანაგობის საქმეების დამხობა. რამწამ შემოდის ან გადის ფული, იმავე წამსვე უნდა ჩაიწეროს წიგნში, რომ არ დაენდოს პატარა ბარათებზედ ჩაწერას და დანიშვნას შემდეგ წიგნში ჩასაწერათ, თორემ შეიძლება ეს ბარათები დაიკარგოს და საქმე აირიოს. ფულის შემოტანა, და გატანა, როგორც ზემოთა ვსთქვით, უნდა იყვეს დანიშ-

ნულს დროს და უამისოთ არც უნდა მიიღონ და არც მისცენ. ამხანაგობაში უნდა იყვნენ შემდეგი წიგნები:

ა] კასსის ანუ დახლის წიგნი (кассовая книга.)

ბ] ანგარიშის რვეულები ანუ წიგნები, რომელნიც უნდა ჰქონდეთ წევრთა.

## ა) კასსის [დახლის) წიგნი

კასსის [დახლის) წიგნი არის შემდგარი შემდეგის ნაწილებიდამ; კასსის ჟურნალიდამ, რომელიც უნდა იწერებოდეს კასსის გაღსნის დროს, და ამ ჟურნალზედ დამყარებულის ანგარიშიდამ, რომლითაც აღირიცხვიან თვითვეული წევრი და აღირიცხვება ყველა ფული რომელიც შეარდგენს ამხანაგობის ქონებას. კასსის ჟურნალი სწარმოებს აქ მოყვანილის ფორმითა: ერთს გვერდზედ, რომელიც შემოსავალისთვის არის დანიშნული, იწერება ყველა შემოსავალი ცალკე ცალკე თავ-თავის ნახაზში, ესე იგი, რომელი შემოსავალიც რა სათავნოს ეკუთვნის. ამ გვერდზედ არიან შემდეგი ნახაზნი:

1) სამონაწილო ფულისა,

2) გამოსაზოგათ ანუსამარხათშემონატანისა [вклады)

3] ნასესხი ფულისა.

4] სესხათ წაღებული დაბრუნებული ფულისა,

5) სესხათ წაღებული ფულის სარგებლისა.

მეორე გვერდზედ არის ნაჩვენი გაღებული ფულის ჩასაწერნი. ეს ნაჩვენი არიან შემდეგნი.

1] სამონაწილო [პაის] ფულისა, რომელიც ეძლევა ამხანაგობიდამ გასულთ პირთ,

2] გამოსაზოგათ ანუ სამარხათ შემოტანილი ფულის შეუგატანისა.

3] ვალათ აღებული ფულის დაბრუნებისა.

4] ამხანაგობისგან სესხათ მიცემული ფულისა

5) ვალათ აღებული ფულის სარგებლის მიცემისა,

6] სამმართველო საქმის ხარჯის ფულისა,

7) ნათავნი ფულის მიღებისა, რომელნიც ეძლევიან ან იწერებიან წევრებზედ.

ამასთან ყველა წევრს აქვს თავისი ნომერი, რომელიც ამ წევრის სახელისა და გვარის მაგივრათ იწერება ყველგან. უკეთუ გარეშე პირს გააქვს ან შემოაქვს თავისი სასარგებლოთ შემოტანილი ფული ანუ ვალათ მოცემული ანუ მათი სარგებელი, მაშინ იწერება წიგნებში ამათი სახელი და გვარი

# ფორმა კასსის (ლასხლის) ჟურნალისა.

| შემოსავალი. | | | | | | | გასავალი. | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რიცხვი. | ნომ. ან წიგნ. ნომერ. ფურც. | სამრეწვ. ფურ-ცლის ნომერი. | გამოსაღ. მან. | ვალეთი ადგ. | სესხთა წარგ. ფულ. შემოს. | სესხ. გადახ. ფულ. სარგებ. | რიცხვი. | წიგნის ნომერი. | სამოწმეთა ფულისგადახდა | სადმას. მეჯინ. | ვალეთი აღებ. | სესხთა მი-ცემა. | მესამე. მემ. | ფულის მოსარგ. | სამსახურ-ალის ხარჯი. | მოგება. |
| | | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | | | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |

როდესაც კასსა (დასლი] დაიხურება, ბუღგალტერმა [მოანგარიშემ] უნდა გაუკეთოს ჯამი ყველა ჟურნალით გათავებულს შემოსავალ გასსავლის ნახაზებს [графа]; მერე ამოწმებენ ამ ჟურნალთან განმგებელი და კასსირ [დახლიდარი] სამხანაგო კასსას და მას უკან ბუღგალტერს გადააქვს დღიური ანგარიში თვითეულს ნახაზში ყველა შემოსავალ გასავალი თავ-თავის ადგილას. კასსა რჩება სკივრში და იკეტება, სკივრს ინახავს კასსირი, გასაღები მიაქვს განმგებელს. ყველა წევრზედ უნდა იყვეს ცალკე საანგარიშო [счетъ) სამმართველოში. ეს საანგარიშო უნდა იყვეს იმავე ფორმისა, როგორიც ქმლევათ თვით წევრთ საანგარიშოთ, მხოლოდ შემოსავლის მაგივრათ აქ უნდა დაინიშნოს გასავალი, რაც იქ იწერება გასავალთ აქ უნდა დაიწეროს შემოსავალთ. გარდა ამ ცალკე თვითეული საანგარიშოსი, უნდა იყვეს ცალკე შემდეგი საანგარიშონი:

1.] საანგარიშო სამოსწილოთ შემოტანილი ფულისა.

2.] საანგარიშო გამოსაზოგათ ანუშესანახათ შემოტნილის დ ვალათ აღებულის ფულებისა,

3.) საანგარიშო მზადი თავნისა.

4.] საანგარიშო სესხათ გაღებული ფულისა.

5.] საანგარიშო სამმართველოზედ დანახარჯისა.

6.] საანგარიშო შემოსულის სარგებლისა.

7.] სამონაწილოთ შემოტანილი ფულის მოგებისა (дивидендъ.]

## 1) სამონაწილო ფულის ანგარიში.

| სახელი და № წევრისა. | პირველი მეოთხედი წლისა. | | მეორე მეოთხედი წლისა. | | მესამე მეოთხედი წლისა. | | მეოთხე მეოთხედი წლისა. | | წლის თავზედ იყოდარჩენილი. | | წლისბოლოს მიწერილი მოგება. | | მიეცა. | | კასსაში არის. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

## 2) ნუსხათ გაცემულ ფულის ანგარიში.

| ნომერი. | ნუსხათ გამო-ტანის სახელ. | თავდებ. სახ. ქალის შ. ვინ რამდ. დაუდ, | რაოდენობა წაღებულისა | | რა ვადითაა წაღებულის. | წაღებული. სარგებელი | | რა დღეს მიეცა ნუსხათ. | ახალი ვა-და. | ვინ დაუდგა ამაში თავდებ | ახალი ვადის სარგებელი | | წვრილ-წვრილათ დაბრუნებული | | | დაბრუნდა სარგებელი. | | სრულიად დაბრუნებ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მ. | კ. | | მ. | კ. | | | | მ. | კ. | რიცხ. | ჯამი. მ. | ჯამი. კ. | მ. | კ. | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## მზადი თავნის ანგარიში.

| წასრულწელიწადსიყო |  | ახლათშემოვიდა მოგების ანგარიშიდამ მეათ. |  | უძრავი მზადი თავნის სარგებელი. |  | სათავნედ მყოფი. |  | დაბრუნებულ. თავნობიდ. |  | დახარჯული. |  | არის კასსაში. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |  |
|  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |

## კალათ ადებული და შესანახათ შემოტანილი ფულის ანგარიში და მათი სარგებელი.

| სომერი. | მოვალის და შემომტანის სახელი. | რაოდ. შეს შემოტან. |  | სარგებელი. | რაოდ. ნავალ. |  | სარგებელი |  | დრო კალათ ადებ. და შესანახ. მიღებულის ფულ. | დაბრუნების ვადა. | კალ. და შეს. ფულ. სარგ. |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  |  | მ. | კ. |  | მ. | კ. | მ. | კ. |  |  | მ. | კ. |
|  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |

ამ საანგარიშო წიგნებით უნდა შესდგეს წლის ან-გარიში. გარდა ამისა უნდა შერსდგეს სამთვეობითი ან-გარიშები [Огчетъ], რომლითაც უნდა დაუჯდეს სამი თვის ჯამი კასსის ჟურნალებს.

გარდა ამ მოყვანილი საანგარიშოებისა, უნდა იყვეს სია, სადაც იწერებოდეს ყველა წევრები. დრო იმათი ამხანაგობაში შემოსვლისა, და უნდა იყვეს ცალკე აღ-რიცხვა თავდებებისა.

ეს საანგარიშო უნდა იყვეს ამ ფორმისა.

| თავდებების სახელები. | რაოდენს ფულშიარი-ან თავდე-ბათ. | | რა ვა-დით. | ვისი თავ-დებნიარიან. | ახალი ვა-და. | ახსნა. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | კ. | | | | | |

## საანგარიშო

### წ ი გ ნ ე ბ ი  წ ე ვ რ თ.

საანგარიშო წიგნები უნდა იყვნენ, თუ შეიძლება, დაბეჭდილნი და ყდაში ჩასმული. ერთს გვერდზედ, რომელსაც აწერიათ „შემოსავალი", უნდა ჩაიწეროს ყოველი ფული, რომელიც შემოაქვს წევრს ამხანაგობაში და უნდა ჩაიწეროს თავთავის ადგილას, თავისთვის დანიშნულს ნახსში. მეორე გვერდზედ, რომელსაც აწერია შემოსავალი, უნდა დაინიშნოს სესხათ გატანილი წევრისგან ფული და დრო იმის უკუბრუნებისა, ესე იგი შემოტანისა.

აი ფორმა ამისა, რომ უფრო კარგათ მოხვდეს მკითხველი,

მოსაანგარიშებელი წიგნი ამა და ამ ამხანაგობისა.

მიეცა ამა და ამ სოფელში მცხოვრებს გლეხს მასარე ჯღანილეჭიაშვილს

№ 1874 წ. იანვრის ამა და ამდღეს.

| შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი | | | | | | | გ ა ს ა ვ ა ლ ი. | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვე რიც-ხვი და წელიწა-დი. | | ძირეულის სესხათა. | | დაბრ. ვალ. | ვალისხმიცემის | გადასახდა. | თვე რიცხვი და წელიწადი. | | ჰარმ. სამო-აწილ. არის გადმოცან. | | სამოხაწ. არ-ხმეცანილ. | | აამ. ზედ არ-ს მითელ. | | სესხი არის დაბრუნებ. | | სარგებლის გადმოდა. | | მიღწათ აქვს ამხანაგ. 1, 2 3, და 4 წლის მეოთხ. ბოლ. |
| | | მ. | კ. | | | | | | მ. | კ. | მ | კ | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | |

რაც რამე კასსაში დიკუმენტები [საბუთები] არის, ყველა უნდა იწერებოდეს ცალკე სიაში, რომელშიაც უნდა ინიშნებოდეს დრო ამ დოკუმენტის შემოტანისა, აზრი ანუ შინაარსი ამისი, ვისგან არის შემოტანილი და დრო უკან დაბრუნებისა.

საზოგადო ყრილობის ჟურნალები იწერება, როგორც უბრალო პროტოკოლები, ესე იგი ისე უბრალოთ რაც მომხდარა და გადაწყვეტილა, მოკლეთა და ცხადათ, და უნდა მოაწერონ ხელი წიგნის მცოდნე წევრთა.

---

# XII

## უკანასკნელი სიტყვა

ეს იყო ის მოსაზრებანი, რომელზედაც არის დამყარებული აქ მოყვანილი ხსნებითი ამხანაგობის წეს-დებანი. აქ არ შეგვიძლიან არ მივაღებინოთ ყურადღება იმ პირთა, რომელნიც თანაუგრძნობენ და ცდილობენ ამხანაგობათა დაწყობილობის გავრცელებას ხალხში, იმ ახალს ეკონომიურს გარემოებაზედ, რომელსაც ქლტვის ახლანდელი წყობილება და რომელიც აღმოსჩნდა შემდეგ ბატონ—ყმობის გადავარდნისა. დღეს მიეცათ გლეხთ

მამულები, შეიქმნენ ისინი საკუთრების მქონებელნი, მაშასადამე მიეცათ მათ შეღავათი თავისუფლათ და მცირეც არის მკვიდრათ სარჩოს შეძენისა. მაგრამ მეორეს მხრივ არ არის არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომ ეს საკუთრება, გავრცელებული ხალხში მართებლობის გადაწყვეტილებით, არ გადვიდეს ისევ შემძლე კაცთა ხელში და არ დარჩნენ მცირე მამულების პატრონები ისევ უმამულოთა. მაინც და მაინც, თუნდა რომ გაჭირვებამ არ დააკარგვინოს ვალებსა და გადასახადში მცირე შეძლების პატრონთ თავისი მამულები, ამგვარს გარემოებას უთუოთ მოსდევს მრავალი ხალხისთვის უმამულობა. ამისგამო არის საჭირო, რომ ხალხმა თან და თან იგრძნოს სარგებლობა ამხანაგობითი მამულების მფლობელობისა და განმგეობისა, რომ მამულები ეკუთვნოდეს ამხანაგობას და არა ერთსა და ორს პირს. ამ მხრივ დაბრკოლებას არა ჰნახავს ხალხი, რადგან რუსეთის საერთო მამულების მფლობელობა არის შეწყნარებული და დამკვიდრებული მმართებლობისაგან. თქმა აღარ უნდა, რომ იმ წრეში დარჩენა საერთოთ მამულების მფლობელობისა, რომელიც დღეს არის რუსეთში, არ არის საკმაო და უნდა გაუმჯობესობა. *) ამისგამო არ უნდა ჩვენ დავჯერდეთ

*) ჩვენ სასოფლო წერილებში ვამბობდით, რომ ისე დაიდოს მამულის საერთო მფლობელობა, როგორც რუ-

მარტო იმგვარათ მამულების საერთოთ დიდებას, რომ დაყოფის დროს ნაწილ ნაწილათ ურიგდებოდეს ეს მამულები ხალხსა, როგორც არის რუსეთში. ჩვენ უნდა ვილტოდეთ იმ დებულებას, რომ მამულები ჰქონდეს მთლათ საზოგადოებას და არა დიიყოფებოდეს ნაწილ ნაწილათ. მამულები უნდა შემუშავდეს საერთოთ. აქ არის ერთი იმ გვარი მოგება, რომელსაც სხვა სიკეთეთა შორის არიან მოკლებულნი ის წესნი, სადაც საერთო მამულები დაიყოფა მონაწილეთაშორის დრო და დრო, და სადაც არიან წვრილი მამულების მესაკუთრენი. საზოგადოებას აქვს დიდი ღონისძიება და ამ ღონისძიებით შეუძლიან ისარგებლოს მამულების გასაუმჯობესებლათ. დღევანდელი მამულების გაუმჯობესობა და შემუშავება თხოულობს დიდს შეძლებას, რომელსაც ცალკე თითო

---

სეთშიაო. ბევრს ეჩვენება ახლანდელი აზრი იმ აზრის წინააღმდეგათ, მაგრამ არ უნდა დაივიწყოს მკითხველმა, რომ იქ ვთხოულობდით ჯერობით ამ საქმეში მმართველობის გარევას დ ვთხოულობდით დროებით ამ წესების შემოღებას, რადგან უფრო ადვილი საქმეა მმართებლობისთვის, რაკი ამისი მაგალითები რუსეთშიაც არის დ მაინცა და მაინც არის უმჯობესი ჩვენს დღევანდელ წყობილებაზედ.

ა. ფ.

პირი მოკლებულია და რომელიც არ არის ძნელი მთელი საზოგადოებისათვის. ამ დიდს დასარჯავს მამულზედ მოსდევს დიდი მოგებაცა, ურომლისოთაც ყოველთვის ზარალში იქნება სოფლის მუშაკი, როგორც არიან დღესაცა, ისინი ვერ დააღწევენ თავს ჩარჩებსა და აღებმიცემის კაცთა. ეს მამულების გასაუმჯობესებლათ საჭირო ღონისძიებანი შეადგებიან საზოგადო ღონისძიებიდამ და საზოგადო გამოზოგილებიდამ. რაკი ამგვარათ დაიბადება ღონის ძიება მამულების გაუმჯობესებისა და ამ მამულების მფლობელების წარმატებისა, მაშინ ეს შეიქნება ისეთ ძალათა, რომელიც დღეს არის თუ სხვაგან მოუღებს ბოლოს გაჩე-ში თვითვეულს პირისაგან საკუთარი მამულების საკუთრებასა; მაშინ ყველა მამულები გასწდება საერთო და აღარავის არ იქნება უმამულობით მოკლებული ლუკმა პურის, ბინას, რომელნიც დღეს არა აქვთ მრავალთა და რომელიც თან და თან გასშირდება, თუ არ შეიცვალა აწმყო მდგომარეობა იმ გარემოებათ, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ამის მისაწდომათ უნდა შეადგნენ სამამულო ამხანაგობანი ანუ ასსოციაციები, როგორც ქმნიან ევროპაში. ამგვარი ამხანაგობანი არ იქნებიან მოკლებულნი მეცადინეობას და მხნეობასაც, რადგან თვითეული ამხანაგობაში მონაწილე პირი ჰხედავს ამაებში თავისავე საკუთარს მოგებას, რომლისაც ამგვარს მხნეობას და მეცადინეობას არიან მოკლებულნი იმ მამულის პატრონნი

რომელნიც მუშაობენ მამულებს ნაქირავების კაცებით; რომელნიც თვის მხნეობაში ჰხედავენ მცირე მოგებას და ელიან მხოლოდ დღიური ქირის მიღებას. ამგვარს ამხანაგობასა ჰყავს ამორჩეული საკუთარი საქმის გამგენი და მმართველნი, რომელნიც არიან ნიადაგ მთელი ამხანაგობის სასტიკს მხედველობის ქვეშა. ეს არის ის მოკლე საჭიროებანი, რომელნიც უნდა შევიდნენ ახლად წყობილს სამამულო ამხანაგობებში, და ესენი არიან მოკლედ ნაჩვენები მოგებანი, რომელსაც ჰნახვენ ამგვარი ამხანაგობანი წინაშენ ცალ-ცალკე საკუთრების პატრონთა და ანუ იმ საზოგადო მამულის მფლობელთა, სადაც მამულები დრო დრო იყოფება თვითეულს წევრზედ ცალკე.

ეს არის ის გარემოება, რომელზედაც ჩვენ უნდა მოგვექცია ყურადღება ამგვარი საქმეების მეცადინე პირთა. თუ ამგვარს წესს არ შეეჩვია ხალხი და არ შეიფერა ესა, მამულების წარმატება მცირე შეძლების პატრონების ხელში ძნელია, რადგან ყოველი მამულის წარმატება თხოულობს საკმაო ფულს, ცოდნას და სიმარჯვეს, რომელსაც თითქმის ყველა მოკლებულია, და რომელიც მთელს საზოგადოებას, მთელს ამხანაგობას ყოველთვის შეუძლიან რომ იქონიოს. ამგვარის დაწყობილებისა და აზრების შესაჩვევრათ უნდა ეცადონ ეს ხალხის სასარგებლოთ მეცადინე პირნი, რომ გავრცელონ და შეაყვა-

რონ ხალხს ამხანაგობანი. ამათ უნდა თვის სიბეჯითით, უანგარობით და ცოდვნით გაავრცელონ ხალხში ამგვარი ამხანაგობანი და უჩვენონ მათი სარგებლობანი. გარდა სესხებითი ამხანაგობისა, რომელიც იჭვი არ არის სხვა ამხანაგობებზედ მაღლა სდგას, უნდა ეცადნონ მეყველე-თა ამხანაგობის გავრცელებას, მომხმარებელთა ამხანაგო-ბების გავრცელებას და სხვა. ამგვართ პირთ ჰმართებთ ეგრეთვე შეგონება ხალხისა, რომ ეცადნონ, ითხოვონ იმგვარი სასწავლებლები, სადაც იზრდებოდნენ მამულების მოვლის მცოდნე უმაწვილები და სხვა ამგვარი მამულების გასაუმჯობესებელი დაწყობილობანი.

---

## სასოფლო სესხებითი ამხანაგობის წესდების პროექტი.

### რისთვისა წესდება ამხანაგობა.

ამხანაგობა წესდება იმ აზრით, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ შეეძლოთ: 1] იაფათ ფულის სესხება, დ 2] მოგებით შეინახონ თავის გამონაზოგები ამხანაგო-ბაში.

## ამხანაგობის ღონისძიებანი.

§I. ამხანაგობის ღონისძიებანი შესდგებიან:

ა] სამონაწილო ხვედრიდამ [Паевыхъ долеи] რომელიც შესდგება ამხანაგობისაგან შემოტანილის ფულიდამ (ჰნახე § 2] და მაზედ მიწერილის მოგების ხვედრიდამ, რომელიც ერგებათ ყველა თვითეულს ამხანაგს. (ჰნახე § 3),

ბ] მზადი თავნიდამ, რომელიც არის საკუთრება ხაზოგადო ყველა თვითეულის ამხანაგისა. ამის შესდგენის ღონისძიება და დანიშნულება არის ნაჩვენები § § 6—9 ამ წესდებისაში, და

გ) იმ ფულებიდამ, რომელსაც ისესხებს ამხანაგობა როგორც გარეშე პირთაგან, ვგრეთვე თვით ამხანაგობაში მყოფთ პირთაგან ვადით გინა უვადოთ.

### ა) წევრების სამონაწილო (პაის) ხვედრი.

§ 2. უმჯლესი ზომა სამონაწილო [პაის] ხვედრისა რომელიც ეკუთვნის თითო წევრს, არის ამდენ ამდენი მანეთი; მაგრამ ამ ზომას შეიძლება გინდა მოუკლოს

გინდა მოუმატოს საზოგადო ყრილობამ. ეს ხვედრი თვითეულის წევრისა შეიძლება ერთბაშათაც შემოიტანოს წევრათ შემოსვლის დროს, და შეიძლება წვრილ წვრილათაც შემოიტანოს. ეს წვრილ-წვრილათ შემოტან არის გადაკვეთილი თვეობით წელიწადში სამჯერობით ანუ ნახევარ წლობით, მხოლოდ ამ წვრილათ შემოტანის ანგარიში ისე უნდა იყვეს დაჭერილი, რომ თვეში ხამს მაურზედ ნაკლები არ მოდიოდეს.

§ 3. მინამ სამონაწილო ფული თითო წევრისა სრულად არ შემოვა, რაც დადებულია, მინამ მათი წილი, რომელიც შეჴხვდება ამხანაგობის სათავნოებიდ წმინდ მოგებიდამ, მიითვლება იმათზედ და არ ეძლევა ხელში წევრს. როდესაც შესრულდება სამონაწილო ფული [მაი) ეს მოგება ეძლევა ხელში წევრს.

§ 4. არა წევრს არ შეუძლიან, რომ ერთს თავის სვედრს სამონაწილო (მაი] ფულზედ მეტი სამონაწილო ფული იქონიოს ამხანაგობაში.

§ 5. უკეთუ სხვაზედ გადასცემს, დააგირავებს ანუ სხვათერევ გადიღებს ვიზედმე რომელიმე წევრი თავის სვედრს სამონაწილო ფულს, ამხანაგობა არა სცემს არავის პასუხს ამაში, რათგან სამონაწილო ფული არის პასუხის მგებელი სხვა ამხანაგობის ქონებათა შორის წინაშე ამხანაგობის მოვალეებისა და ეს ფული არ არის

წევრის გამგეობის ქვეშ, ამისგამო ამ ფულს ვერ დაიჭერენ ვერც სასულიერო ვალში, ვერც გარეშე კერძო ვალებში, თვინიერ ამხანაგობის ვალებისა.

## ბ.) მზადი თავნი.

§ 6, მზადი თავნის დანიშნულება არის:

ა] რომ უფრო ნდობის ძალა ჰქონდეს ამხანაგობას თავის მოვალეებთან;

ბ) სამუშავო თავნს [Оборотнаго капитала] მოუმატოს და დაეხმაროს.

გ] რომ მოულოდნელს რასმე ზარალში დაეხმაროს ამხანაგობის საქმეებსა.

§ 7. მზადი თავნი შერსდგება: ა) პირველი წლის სათავნო წმინდა მოგებიდამ და

ბ] შემდეგი წლების წმინდა მოგების მეათედიდამ ანუ ათი სარგებლიდამ (10%)

§ 8. მზადი თავნის მეოთხედი უნდა იდვას ხელუხლებლათ; დანაშთენი სამი მეოთხედი შეიძლება ამუშაოს, ათავნოს ამხანაგობაშივე.

§ 9. მთლათ ერთიანათ მზადი თავნი ეკუთვნის მთელს ამხანაგობას, და მისი გაყოფა შეიძლება მხოლოდ ამხანაგობის დაშლის [ლიკვიდაციის] დროს; ეს ფული

გაიყოფა მხოლოდ იმ ამხანაგებთა შორის, რომელნიც არიან დაყოფის დროს ისევ ამხანაგობაში.

## ვ) ამხანაგობისაგან ფულის სესხათ აღება.

§ 10. ამხანაგობისაგან ფულის სესხათ აღება არის ორრიგი: ერთი ვადითი, რომელსაც იღებს ამხანაგობა თავის სამუშაო ფულის შესავსებლათ უცხო პირთაგან, მ ვადო ანუ გამოსაზოგათ [შესანახსათ] შემოტანილი ფული, რომელიც ამხანაგობამ უნდა დაუბრუნოს უკან შემდეგ გამოსაცხადებლათ დადებულის ვადისა.

§ 11. უვადოთ ნასესხ ფულზედ სარგებელი ეკვე-თება წელიწადში ერთხელ ამხანაგობის ყრილობის გა-დაწყვეტილობით, წლის თავზედ; ვადით ნასესხებს ფულ-ზედ სარგებლის მიცემა არის დამოკიდებული მორიგება-ზედ ამხანაგობის ყრილობასა და ფულის პატრონებს შორის,

§ 12. მთლათ ერთიანათ თანხა ანუ სუმმა ვალათ აღებულის ანუ გამოსაზოგათ შემოტანილის ფულისა არ უნდა იყვეს ხუთის ზომაზედ მეტი მთლათ ერთიან ამხა-ნაგობის ქონებაზედ, რომელიც შერდგება: ა) წევრთა სამონაწილო ანუ პაის ხვედრიდამ, რომელიც ნამდვილათ

არის კიდეც შეტროვილი ამხანაგობაში, და ს.] მზადი თავნიდამ. ეს წესი არ შეეხება პირველათ ნასესხებს ფულს, რომელსაც იღებს ამხანაგობა შერდგენის დროს.

§ 13. თავის დროზედ ნასესხისა და გამოსაზოგათ შემოტანილის ფულის გასასწორებლათ ამხანაგობა უგებს პასუხს: პირველი, მთელი წლის თავის მოგებით, მეორე—მზადი თავნით, მესამე—სამონაწილო ფულით, და უკეთუ ეს არ აუსდება, მაშინ—მთლათ ამხანაგების ქონებით, რათგან ისინი უგებენ პასუხს მოვალეებს ურთიერთას თავდებობით. ამ შემთხვევაში გადასახადი ფული იყოფა ყველა წევრზედ თანასწორათ და ყველამ თავისი ხვედრი უნდა გადაიხადოს, მაგრამ თუ ვისიმე ქონება არ აყვა და, ან დააკლდა თავის ხვედრი ვალის გადასახდელათ, მაშინ დანაშთენი ამათზედ ფული იყოფა კიდევ თანასწორათ სხვა ამხანაგებზედ და მათ უნდა გადაიხადონ.

## რაოდენობა და ვადა ფულის გასესხებისა.

§ 14. ამხანაგობა ასესხებს ფულს მხოლოდ ამხანაგობაში მონაწილე პირთ ესე იგი წევრთ; სესხი მიეცემათ უბრალო ბარათებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ვინც წერა არ იცის მათის თხოვნით

უნდა ხელი მოაწეროს ვინმე სხვამ, და ამის გარდა უნ-და ორმა მოწამემაც მოაწეროს ხელი.

§ 15. იმოდენა ფულის სესხათ გატანა ყველა წევრს შეუძლიან უთავდებოთ, რაც თავის ხვედრათ სამონაწი-ლო ფული შეუტანია ამხანაგობაში. უკეთუ ამაზედ მეტის გატანას მოინდომებს ვინმე, მაშინ უნდა იმდენი თავდები წარმოადგინოს, ამხანაგობაში მონაწილე პირთა-განი, რამდენიც ამ წესდებაში არის დადებული.

§ 16. ამხანაგობა სესხათ თითო წევრთაგანს ერთს დროს ვერ მისცემს ა მ ა და ა მ ო დ ე ნ ა ფ უ ლ ზ ე დ მ ე ტ ს *]; ეს ფული შეიძლება ერთბაშათაც მიეცეს და ნაწილ ნაწილადაც, მხოლოდ დადებულს ზომაზედ მეტი არ უნდა იყვეს.

§ 17. ვადა ფულის სესხათ მიცემისა ერთს წე-ლიწადზედ მეტი არ იქნება.

§ 18. ახალი ვადის მიცემა ფულის შემოსატანათ

---

*] ჩვენის აზრით, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ეს რვა თუმანზედ მეტი არ უნდა იყვეს და პირველ ჟა-მათ უფრო ნაკლებიც, რომ ყველას გასვდეს და არ და-უმძიმოს გადახდა.

ორს თვეზედ მეტი არ იქნება, ისიც თუ თავდებნი გასდებიან ყაბულსა ანუ წარმოადგენენ ახალს თავდებებს.

§ 19. სესხათ გატანილი ფული შეიძლება, რომ ვადაზედ ადრეც შემოიტანონ ნაწილ ნაწილათ, მხოლოდ წინად დაჭერილი სარგებელი ამ შემთხვევაში აღარ დაუბრუნდებათ. უკეთუ მთლათ ერთიანათ წაღებული სესხათ ფული ერთათ დააბრუნეს უკან ვადამდის, მაშინ უბრუნდებათ სარგებელი სრული თვეებისა, რომელნიც დარჩენილან ვადამდის.

§ 20. ის სარგებელი, რამდენიც უნდა აძლიონ წევრთ სესხათ გატანილს ფულში, უნდა გადიკვეთოს ამხანაგობის საზოგადო ყრილობისაგან სამი წლობით. სამის წლის უკან საზოგადო ყრილობას შეუძლიან შესცვალოს ეს ზომა სარგებლისა.

§ 21. სარგებელი ერთმევათ ფულის სესხათ გატანის დროს ანუ ვადის მიცემის დროს სრული რიცხვისა, ესე იგი ყველა თვე სრულ თვეთ ირიცხება, თუნდა, რომ აკლდეს თვეს რამდენიმე დღე ანუ კვირა.

## სესხათ გატანილი ფულის პასუხის საგები ღონის-ძიება და მათი აღება.

§ 22. ვინც თავის ხამონაწილო ფულზედ მეტს გაიტანს სესხათ, ყველამ უნდა წარმოადგინოს ამ მეტს ფულში თავდები თანახმად 15 დ 16 §§. ყოველს ამხანაგობაში მონაწილეს ანუ წევრს შეუძლიან მიიღოს თავდებობა ამა და ამდენს მანეთზედ ანუ თუმანზედ, დაშეუძლიან ამ ფულში ან ერთს დაუდგეს თავდებათ, ან ამ ფულის ცალკე—ცალკე ნაწილზედ სხვასხა და სხვას, მხოლოდ ეს თავდებობა სხვა და სხვა პირისა არ უნდა აღემატებოდეს დადებულს ზომას, რომლისაც თავდებობის ნება იმასა აქვს. ფულის სესხათ გატანის დროს თავდებნი აძლევენ ამხანაგობას ბარათს თავის თავდებობაში იმფულზედ, რომელზედაც დგებიან თავდებათ; უკეთუ თავდებთ წერა არ იციან, მაშინ უნდა დაამოწმოს ამათი თავდებობა სოფლის მამასახლისმა, როგორც უწერს ამას 1562 მუხლი X ტომი 1 ნაწ.

§ 23. უკეთუ ვადის შემდეგ ერთის კვირის განმავლობაში არ შემოიტანს მოვალე ფულს, მაშინ ამხანაგობის მმართველობა წარადგენს ბარათს ფულის გადახა-

ხდევინებლათ; ფულის გადასახდევინებლათ უნდა მიჰმართონ, ა] მოვალის მოძრავ ქონებას;

ბ] იმგვარს შენობას, რომელიც არ შეადგენს ერთს უუსაჭიროესს შენობათაგანს პატრონისთვის;

გ] უძრავ ქონებას, უკეთუ ეს ქონება არის სრული საკუთრება მოვალისა;

დ] იმ ფულს, რომელნიც ერგება მოვალეს ამხანაგობიდამ.

§ 24.) უკეთუ ამგვარად გადახდევინება არ აუხდენს ვალს, მაშინ დანაშთენი ფული უნდა გადახდეთ თავდებთ იმ ზომით, რა საზომითაც დასდგომიან ფულში თავდებათ, უკეთუ ისინი თავათ არ შემოიტანენ ამ ფულს, მაშინ ამათაც იმავე წესით, რომელიც 23 § არის აწერილი, უნდა გადახდეთ თავის თავდებობის სხვედრი ფული.

## მოგების განაწილება.

§ 25. ანგარიშის წლის ბოლოზედ [*] მმართვე-

*) ანგარიშის წელიწადი ჰქვიან იმ ხანს, რომელიც შეადგენს ერთს წელიწადს და გადის ერთის ანგარიშიდამ, მეორე ანგარიშამდის; შეიძლება რომ ეს ანგარიში არ იყოს იმ ანგარიშზედ მოწყობილი, რომლითაც იწყება და თავდება უბრალო წელიწადი, ამასგამო იმ წელიწადს ჰქვიან ანგარიშის წელიწადი.

ა. ფ.

ლობა გამოიანგარიშებს იმ სარგებელს რომელიც შემოსულა გასესხებულის ფულიდამ; აქედამ უნდა გამოიანგარიშოს ის სარგებელი, რომელსაც აძლევს ამხანაგობა გამოსაზოგათ [вкладъ) შემოტანილს ფულსა და ვალათ აღებულს ფულში; იმ ფულსა, რომელიც არის საჭიროთ საქმის მმართვის სახარჯოთ და რომელსამე მოულოდნელის ზარალისათვის დანარჩენი ფულიდამ უნდა გადიდოს მზად თავნში მეათედი, რომელიც არის მოხსენებული § 7; სხვა დანაშთენი ფული არის წმინდა მოგება.

§ 26. წმინდა მოგება უნდა გაიყოს იმ ზომით, რა ზომისაც იყო სამონაწილო ფული შემოტანილი თვითვეულისგან ანგარიშის წლის თავში; ამ ზომაში სანაწილოთ მიიღებს მხოლოდ სრული მანეთები, თუ მანეთს რამე აკლია იმას წილი არა აქვს.

§ 27. როდესაც სამონაწილო ფული [пай] შესრულდება, მაშინ ამისი სვედრი მოგება ეძლევა წევრს ხელში.

## წევრთა ამხანაგობაში შესვლა და გამოსვლა

§ 28. ამხანაგობაში წევრათ შესვლა ყველას შეუძლიან, ვისაც კი კანონისგან არ ადევს აღკრძალვა; არ არის ამაში გარჩევა არც დედაკაცს არც მამაკაცს შორის,

უკეთუ ისინი იკისრებენ იმ მოვალეობათა, რომელნიც არიან მიყვანილნი იმ წესდებაში და ამხანაგობის ყრილობას მიიღებს ამათ მომეტებული კენჭითა ანუ ხმის მიცემით.

§ 29. წევრს შეუძლიან გამოსვლა ამხანაგობიდამ მხოლოდ მაშინ, თუ სესხათ გატანილი ფული სრულიად დაუბრუნებია და თუ გასწორებია თავის თავდებობაში, რომელიც იმასა ჰქონდა ნაკისრები. რა კი ვინმე გამოვა ამხანაგობიდამ, იმას აღარც ფულის სესხის ნება აქვს აღარც თავდებობისა.

§ 30. სამონაწილო ფული ეძლევა ამხანაგობიდამ გამოსულს წევრს ანგარიშის წლის ბოლოზედ, თუ ამ დრომდის ის ექვსის თვის წინათ გამოსულა ამხანაგობიდამ თუ არა და მაშინ უნდა მოუცადოს მეორე ანგარიშის წლის ბოლოს და მაშინ მიეცემა ეს ფული. ამხანაგობიდამ გამოსულს წევრს უნდა ეძლიოს თავის სამონაწილო ფულის ხვედრი მოგება, მინამ ეს სამონაწილო ფული არ დაუბრუნდება.

§ 31. ამხანაგობიდამ გამოსული წევრი ერთის წლის განმავალობაში არის პასუხის მგებელი ყოველს ამხანაგობის მოვალეობაში, რომელიც იმის ამხანაგობაში ყოფობის დროს დაუწერია ამხანაგობას, და რომელში ესეც ყოფილა მოვალე ურთიერთა თავდებობაში.

§ 32. ყოველი წევრი, რომელიც არ შემოიტანს § 2 დადებულს ვადაზედ თავის სამონაწილო ფულსა, უნდა გამოირიცხოს ამხანაგობიდამ და თანახმად §§ 29, 30,21 იქმნეს ამათთან ამხანაგობა საქმესა.

§ 33. ვალები და ზარალის გამო მომკვდარის წევრისა, გადადის მის მემკვიდრეებზედ, რომელთაც სესხათ წაღებული ფული გადასახდევინებელსათ და თავდებობასაც უნდა მოექცეს ამხანაგობა თანახმად §§ 23 და 24, და შემდეგ ეს მემკვიდრეები ამხანაგებათ არ გახდებიან, მაშინ თანახმად §§ 29,30 და 31.

§ 34. ყოველი წევრი, რომელიც არ შეასრულებს ამხანაგობასთან თავის ვალით აღებულს მოვალეობას, გამოირიცხება ამხანაგობიდამ და უნდა მოექცეს მას თანახმად §§ 29 და 30. *]

## ამხანაგობის საქმეების წარმოება.

§ 35. ამხანაგობის საქმეებს განაგებენ:

ა) ამხანაგობის საზოგადო ყრილობა;

---

[*] ამ ნიშნებს §§ ჰქვიანთ პარაგრაფი, ესე იგი მუხლი ანუ ხანა, ამისგამო როცა ეს ნიშნები იწერება, უნდა წაიკითხოს როგორც სიტყვა პარაგრაფი.

ა. ფ.

ბ) შემმოწმებელი რჩევა, რომელსაც შეარდგენს სამი წევრი და ორი მათი კანდიდატი;

გ] ამხანაგობის მმართებლობა, რომელიც შერდგება ორი პირიდამ, ერთი უნდა იყვეს განმგებელი და მეორე კასსირი და ორი მათი კანდიდატები.

§ 36. საზოგადო ყრილობა ითვლება სრულ ყრილობათ, უკეთუ მეხუთედზედ ნაკლები არ არის შეკრებილი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელნიც არიან მოხსენებულნი § 40. საზოგადო ყრილობაში ყოველს წევრს აქვს მხოლოდ თითო ხმა, რომელიც არავიზედ არ გადიდება და არც მიენდობა. საზოგადო ყრილობა ირჩევს თავის შორის ერთს თავმჯდომარეს, მხოლოდ ეს თავმჯდომარე არ უნდა იყვეს ამხანაგობის მმართებლობის პირი.

§ 37. საზოგადო ყრილობა არის ორ რიგი: ერთი ჩვეულებრივი, მეორე უქცარი. ჩვეულებრივი ყრილობა იკრიბება წესდების ძალით დადებულს ვადაზედ, ყოველს დროს, როდესაც მოითხოვს ამხანაგობის მმართველობა, შემმოწმებელი რჩევა ანუ მთლად ამხანაგობის მეოცედი მაინცა.

§ 38. საზოგადო ყრილობის მოვალეობა არის;

ა] მიღება და გამორიცხვა წევრთა; ბ] ამორჩევა და გამოცვლა ამხანაგობის ყოველ მოხელეთა ანუ თანამდებო-

ბის პირთა და მათი ქირისა ანუ ჯამაგირების დანიშვნა; გ] ყურადღება, რომ საქმეებს კარგათ აწარმოებდნენ; დ] მოსმენა წლითი და სამთვეობითი მოანგარიშებაებისა და მათი დამტკიცება; ე] მმართველობაზედ საჩივრების გარჩევა და გადაწყვეტა; ვ] სარგებლების დანიშვნა გამოსაზოგათ შემოტანილის და სესხათ გაღებულის ფულებისა; ზ) ანგარიშების მიღება და შემოწმება მმართებლობის პირთაგან და ვინიცობაა საჭიროება მოითხოვს, სამართალშიაც მიცემა მათი, და ჱ] მოსაზრა და განსჯა საამხანაგო შინაგანი საქმეების გაწყობილებისა და გამოცვლა ანუ შევსება ამ წესდებისა.

§ 38. საზოგადო ყრილობაში საქმეები ისე უნდა გადაწყდეს, როგორც გადასჭრას შეყრილი წევრების მომეტებული ხმა; უკეთუ ორთავ მხარეს ხმა თანასწორი გამოვა, მაშინ ისე უნდა გადასწყდეს, როგორც გადასჭრის ის მხარე, საითაც თავმჯდომარეა. მოხელეთ ანუ თანამდებობის პირებათ ამორჩევაში დარჩებიან ისინი, რომელნიც მიიღებენ მომეტებულს კენჭს, და იმათ კანდიდატებათ, ვინც ამათ მამდევნო კენჭს.

§ 40. მოხელეთა ანუ თანამდებობის პირთ ამოსარჩევათ უნდა საზოგადო ყრილობაში ამხანაგობის წევრთა ნახევარი მაინც შეიყაროს, და აქაც საქმე ისე უნდა გათავდეს, როგორც გადასჭრის მომეტებული ხმა.

წესდების შესაცვლელათ ანუ შესავსებლათ კი უნდა ორი მესამედი მაინც შეიყაროს ყველა ამხანაგობის წევრებისა.

§ 41. ამხანაგობის საზოგადო ყრილობაში საქმენი თავდებიან კენჭის ყრით. აქ წესს იცავს და წესიერებას ადევნებს ყურს თავმჯდომარე. ყოველი გადაწყვეტილობა ყრილობისა იწერება ამხანაგობათა გადაწყვეტილებათა ჟურნალში, რომელიც სდგება მაშინვე შეყრილობის დროს და რაკი გათავდება, უნდა მოაწერონ ყველა წერის მცოდნე მწევრთ, ეს ჟურნალი უნდა ინახებოდეს შემმოწმებელს რჩევაში.

## შემმოწმებელი რჩევა

§ 42. შემმოწმებელი რჩევა უგდებს ყურს მმართველობის საქმის წარმოებას, შეუძლიან ყოველთვის წიგნების გაჩხრეკა და კასსის შემოწმება; უკეთუ შენიშნავს უწესოებას საქმის წარმოებაში, მაშინვე უნდა გაასამართლოს მართველობის წევრნი საქმესა, ჩააყენოს მათს მაგიერათ მათი კანდიდანტები, და დაუძახოს უეცარს საზოგადო ყრილობას. რჩევის მოვალეობაა, რომ საზოგადო ყრილობის წინაშე დასჩხრიკოს სამთვეობითი და წლობითი მოანგარიშებანი მმართველობისა და ამასზედ ყველაფერი უნდა მოახსენოს ყრილობას; უნდა უგდოს

ყური, რომ ზომა გამოსაზოგათ შემოტანილის, სესხათ აღებულის და სესხათ გაღებულის ფულებისა იყვეს იმდონი, რაც ამ წესდებისაგან და საზოგადო ყრილობისაგან არის გადაწყვეტილი; ამასთან, უკეთუ ვინმე წევრთაგანი ინივლებს, რომ ფულს არ გვაძლევენ იმიტომ, რომ ვითომც კასსაში ფული არ არისო, მაშინ უნდა რჩევამ ქხეც შეამოწმოს.

## მმართველობა.

§ 43. მმართველობას მიჰყავს ყოველი საქმის წარმოება ამხანაგობისა, კასსა (დახლი] აბარია კასსირს და კასსის გასაღები გამგებელს, როგორც გამგებელი ქერე-თვე კასსირი არიან პასუხის მგებელნი წინაშე ამხანაგობისა კასსისა და დოკუმენტების სიმრთელესა და ყოველი წესდების კანონების და ამხანაგობის გადაწყვეტილობის დაცვაზედ.

§ 44 ყოველი ამხანაგობის საქმეები იწარმოება ამისთვის განსაკუთრებით დანიშნულს დღეებში, კვირაში ერთხელ მაინც.

§ 45. გამგებელს აძევს ვალათ, რომ გაუწიოს დავა ფულის გადასახდევინებლათ იმ პირთა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზედ სესხათ გატანილი ფული.

§ 46. გამგებელს აქვს ბეჭედი, რომელიც უნდა დაასვას, თუ წერა არ იცის, თავის ხელმოწერის მაგივრათ.

§ 47. შემმოწმებელი რჩევის და მმართველობის წევრი პირები ამოირჩევიან თითო წლობით, მაგრამ საზოგადო ყრილობას შეუძლიან ამათ გამოცვლა ყოველი ყრილობის დროს.

28. უკეთუ ავათ გახდა შემმოწმებელი რჩევის ანუ მმართველობის წევრი პირი, მათს ადგილას უნდა ჩადგეს მათი კანდიდანტი.

## ანგარიშთა წარმოება.

§ 49. მმართველობამ უნდა წარუდგინოს სრული წლის ანგარიში შემმოწმებელს რჩევას ანგარიშის წლის ბოლოზედ და ეს ანგარიშის წარდგენა არ უნდა დააგვიანოს ერთს თვეზედ მეტი. თუ ამ ხანში არ წარუდგინა ანგარიში, მაშინ შემმოწმებელმა რჩევამ უნდა იქირაოს კაცნი მმართველობის პირთა ხარჯით დი მათ მიანდოს ამ ანგარიშების შერდგენა. მერე ეს ანგარიშები უნდა წარუდგეს ამხანაგობის პირველსავე ყრილობას. ამავე წესით უნდა იყვეს სამთვეკობითი ანგარიშების წარდგენის შეხახებ.

§ 50. ანგარიშებმა უნდა წარმოადგინონ: ა] ყოველი

შემოსავალი და გასავალი მთელი ანგარიშის ხნის განმავალობაში, რომელნიც უნდა იყვნენ მოხსენებულნი საანგარიშოებში შეტანილს ნასაზებში [გრაფებში]; ბ] უნდა იყოს მოხსენებული ცალკე მოგება და ზარალი; გ] ცნობა (ВѢДОМОСТЬ) საზოგადო ქონების მდგომარეობაზედ წლის დასასრულს.

## ამხანაგობის მოსპობა და ამაში ამხანაგების პასუხის გება.

§ 51. ამხანაგობა ჰსპობს თვის წარმოებას საზოგადო ყრილობის ძალით (ნახე § 40) და იმ შემთხვევაში თუ კოტრობა დაემართა.

§ 52. უკეთუ თავის ნებით მოისპობა ამხანაგობა, მაშინ უნდა ჰადიხადონ:

ა) ყოველი სესხათ აღებული და გამოსაზოგათ შემოტანილი ფული.

ბ) სამონაწილოთ შეტანილი ფული.

გ) დანაშთენი ფული უნდა გაიყონ თანასწორათ იმ წევრთ, რომელნიც ამ დროს ითვლებიან ამხანაგათ, გამოსულთ არა აქვთ აქ ხელი.

§ 53. უკეთუ ამხანაგობას დაერთო კოტრობა, მაშინ პასუხის გება თვითეულისა ისე უნდა განაწილდეს, როგორც არის მოხსენებული § 13.

# ჩართული.

ფორმა ანუ წესი ბარათის, რომელიც უნდა მიეცეს ამხანაგობას სესხათ გატანილს ფულში.

ათას რვას ამ და ამ წელს, თვეს და დღეს. მექვემორე ამისა ხელის მომწერელმა ამა და ამან [უნდა: გვარი სახელი და ადგილ საცხოვრებულის მოხსენება) ვისესხე ამა და ამ სესხებითი ამხანაგობისგან ამა და ამდენი მანეთი თეთრი, რომელშიც უნდა ვაძლიო ამა დ ამ პარაგრაფში (§) დადებული სარგებელი, ამა და ამ ვადით, ესე იგი ამა დ ამ წლიდამ დ რიცხვიდამ ამა დ ამ წლამდის დ რიცხვამდის, როდესაც მოვალე ვარ სრულიად ჩავაბარო ეს ფული; უკეთუ ვერ შევასრულე ეს პირობა, მაშინ ამხანაგობას შეუძლიან ამ ფულის გადასახდევინებლათ მამექცეს კანონისა და ამ წესდების ძალისამებრ. ხელს ვაწერ ესა და ეს.

ამ სესხათ წადებულის ფულის თავდები ვარ ვადით ამა და ამდენს ფულში ესა და ეს.

გ 932
1874

მას
რვას
ჩემოდ
რი ს
ესხე
ნი მა